




ფინანსთა
სამინისტრო

ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ
სახელმწიფო საწარმოთა აგრეგირებული ანგარიში



ნოემბერი
2023




MOF.GE


სახელმწიფო სანარმოთა პორტფელის მიმოხილვა	3
შეჯამება	5
სახელმწიფო სანარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა	20
სახელმწიფო სანარმოთა შედეგები	24
სს საპარტნიორო ფონდი	24
სს. საქართველოს რკინიგზა	27
სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	30
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	33
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	36
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	39
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	42
სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	47
შპს ენგურჰესი	50
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	52
შპს საქართველოს ფოსტა	55
შპს საქართველოს მელიორაცია	58
შპს მარაბდა-კარნახის რკინიგზა	64
სახელმწიფო სანარმოთა სენსიტიურობის ანალიზი	68
საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პროექტები	79
PPP ვალდებულებების შეფასება	82
გრძელვადიანი ფისკალური რისკების ანალიზი	88
დანართები	98
დანართი 1 სახელმწიფო სანარმოები	98
დანართი 2 სახელმწიფო სანარმოთა შვილობილი კომპანიები	119
დანართი 3: საბაზისო დაშვებები გრძელვადიანი ფისკალური პროგნოზებისათვის	124

სახელმწიფო საწარმოთა პორტფელის მიმოხილვა


სულ 310 საწარმო, მათ შორის:



აქტივები
(მილიარდი ლარი)




წმინდა მოგება კურსთაშორისი სხვაობის ეფექტით და მის გარეშე (მლნ ლარი)





დასაქმებულთა რიცხოვნობა | TOP 5 სუდ დასაქმებულთა ჩიცხოვნობა: 62 000-მდე



საწახმოს დასახელება — 2021 2022

შეჯამება

ფისკალური რისკი წარმოადგენს ფისკალური ცვლადების ისეთ გადახრას დაგეგმილი და მოსალოდნელი მაჩვენებლებისგან, რომელიც გამოწვეულია მაკროეკონომიკური შოკებით და მთავრობის პირობითი ვალდებულებების რეალიზებით. საქართველოსთვის დამახასიათებელი ფისკალური რისკების წყაროებია:

- მაკროეკონომიკური რისკები;
- სახელმწიფო საწარმოები
- საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტები;
- სასამართლო დავები
- კლიმატის ცვლილება და მასთან ასოცირებული გახშირებული სტიქიური მოვლენები.

სახელმწიფო საწარმოთა სექტორში ბოლო ორი წლის განმავლობაში შენარჩუნებულია წმინდა მოგების ზრდის ტენდენცია. თუმცა, ამ მაჩვენებლის არსებითი ნაწილი მოდის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ მოგებაზე, რადგან საწარმოთა ვალდებულებების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, აღნიშნული ხაზს უსვამს მათ მოწყვლადობას საგარეო ფაქტორების მიმართ. შესაბამისად, ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში, მოგების წლიევანდელი მაჩვენებელი შესაძლოა ნეგატიური მიმართულებით შებრუნდეს. აღნიშნული რისკის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, სახელმწიფო საწარმოთა ვალის პორტფელში გაიზარდოს ეროვნული ვალუტის წილი, პარალელურად კი გაგრძელდეს სექტორში კორპორაციული მართვის რეფორმები.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) ფორმატი მთავრობისთვის წარმოადგენს უნიკალურ ინსტრუმენტს განავითაროს სხვადასხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურა და დანერგოს კერძო სექტორის ინოვაციები.

ამასთან, ასეთი ტიპის პროექტები აუცილებლად მოიაზრებს გარკვეული პროპორციით რისკების გადანაწილებას კერძო და საჯარო პარტნიორებს შორის. აუცილებელია, კრიტიკულად შეფასდეს PPP პროექტების ხარისხის ფასთან თანაფარდობა და მასთან ასოცირებული ფისკალური რისკები. ფინანსთა სამინისტრო 2017 წლიდან ანალიზებს და აქვეყნებს ინფორმაციას ამ მიმართულებით არსებულ ფისკალურ რისკებზე. PPP პორტფელი კვლავაც კონცენტრირებული რჩება ენერჯეტიკის სექტორში. ამ მომენტისთვის PPP პროექტებიდან, კერძოდ კი PPA ხელშეკრულებებიდან მომდინარე პირობითი ვალდებულებები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. აუცილებელია, ამ ნაწილში შევინარჩუნოთ მიღწეული შედეგი და მეტად არ გავზარდოთ რისკის დონე.

გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად და პოტენციური გრძელვადიანი რისკების საპასუხოდ სათანადო პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ფისკალური რისკების ანალიზი და შეფასება. ფინანსთა სამინისტრო საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების ექსპერტული მხარდაჭერით უკვე რამდენიმე წელია ფარავს და წლიდან წლამდე აუმჯობესებს სტიქიური მოვლენების, კლიმატისა და დემოგრაფიული ცვლილებით გამოწვეული ფისკალური რისკების შეფასებას.

სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე



სახელმწიფო საწარმოები 2022 წელსაც 2021 წლის მსგავსად ინარჩუნებენ წმინდა მოგების მაღალ ნიშნულს. სექტორის ჯამურმა მოგებამ მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით 2022 წელს შეადგინა 1.4 მილიარდი ლარი, რაც ისტორიული მაქსიმუმია. წმინდა მოგების 86%-ზე მეტი მოდის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ მოგებაზე, ეს ნიშნავს, რომ საწარმოთა ბოლო 2 წლის მოგება არ არის მდგრადი და ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში შესაძლოა ეს მაჩვენებელი ზარალის მიმართულებით შებრუნდეს. საწარმოებს ამ მომენტში აქვთ უნიკალური შანსი შეამცირონ სავალუტო მოწყვლადობა საგარეო სესხების საშინაოთი ჩანაცვლების გზით. აღნიშნულს ასევე ექნება ირიბი პოზიტიური ეფექტი ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით.



საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N 573 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია, სტრატეგიის 2023-2024

წლების სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა რეფორმის 3 პილოტი სახელმწიფო საწარმო. სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობითა და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 629 დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. სექტორში მიმდინარე რეფორმა მიზნად ისახავს სახელმწიფო კორპორაციების ეფექტიანობის გაზრდას ინსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზე გასატარებელი ღონისძიებების საფუძველზე. რეფორმის ძირითადი მიმართულებების (სახელმწიფო საწარმოებში კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვა, საწარმოთა კომერციული მიზნების უზრუნველყოფა, საწარმოთა ფლობის პოლიტიკის განსაზღვრა, კონკურენციის ხელშეწყობა, საწარმოთა სტრუქტურული მართვა) პრაქტიკაში დანერგვისთვის მკაფიო საკანონმდებლო საფუძვლის შექმნის მიზნით, ასევე, შემუშავებულია სახელმწიფო საწარმოთა შესახებ კანონის კონცეფცია.



2023 წლის ივნისში, სექტორში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მართვის უფლებით გადაეცა რეფორმის 3 პილოტი საწარმოს (სს „საქართველოს რკინიგზის“, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“) აქციების/წილების 50%, რაც ფლობის დუალისტური მოდელის პილოტირებას გულისხმობს. 2023 წლის 8 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2023

წლის 10 მარტის N475 განკარგულების¹ შესაბამისად, გააფორმეს ხელშეკრულებები „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის 50% და სს „საქართველოს რკინიგზის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 50% მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ და „შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“. ამ უკანასკნელი ხელშეკრულების მხარედ განისაზღვრა, ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის მართვაში დარჩა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ წილის 50%. „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“-თან დაკავშირებით ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან დღემდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საწარმოების წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ ერთხმად, ერთიანი პოზიციით, მათ შორის, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: საწარმოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ან უფლებრივად დატვირთვა; სარგებლობის უფლებით გადაცემა; საწარმოების კაპიტალიდან ქონების ამოღება და კაპიტალში სახელმწიფო ქონების შეტანა, საწარმოების ანგარიშგების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება) და წლიური ბიუჯეტის (ბიზნეს გეგმის) პროექტის განხილვა და დამტკიცება. რაც შეეხება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან დღემდე ამ როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად ურთიერთშეთანხმებით, მათ შორის, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: კომპანიის მიერ ვალდებულებების, სესხების ან/და კრედიტების აღება, ინვესტიციების

განხორციელება, კომპანიის კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელება, კომპანიის კუთვნილი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა, საწარმოების ანგარიშგების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება) და წლიური ბიუჯეტის (ბიზნეს გეგმის) პროექტის განხილვა და დამტკიცება. ამასთან, საქართველოს ფინანსთა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელებისას სჭირდებათ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა რიგ საკითხებთან დაკავშირებით (მაგალითად, კომპანიის კაპიტალში არაფულადი შენატანების განხორციელება, კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების გასხვისება, კომპანიის კაპიტალიდან ქონების ამოღების, კომპანიის ლიკვიდაციის, დაშლის, რეორგანიზაციის ან გადახდისუუნარობის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება).



სახელმწიფო საწარმოებში, მათ შორის საპილოტე საწარმოებშიც გამოწვევად რჩება კორპორაციული მართვის კოდექსთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა. საქართველოს რკინიგზისა და გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის დასრულების ეტაპზე/მომზადდა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შეფასება, რომლებიც კომპანიებისთვის იქნება ერთგვარი გზამკვლევი ამ მიმართულებით

უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის N475 განკარგულება.

¹ „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილების 50%-ისა და სს „საქართველოს რკინიგზის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 50%-ის მართვის

განსახორციელებელი
დაგეგმვისას.


აქტივობების

სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო
325 საწარმო - სამთავრობო სექტორს.



სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის დაფარვის არეალის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების სექტორიზაცია - მათი კლასიფიკაცია სახელმწიფო კორპორაციებად და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებულ სახელმწიფო საწარმოებად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული ამოცანა პირველად 2020 წლის აპრილში შეასრულა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 24/04/2020, N96 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის სია. 2023 წლის იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განიმარტა სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოს ცნება, როგორც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ რეესტრში ასახული, ცენტრალური ხელისუფლების მართვაში არსებული, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოს მართვაში არსებული და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მართვაში არსებული სახელმწიფო საწარმო. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კარგი პრაქტიკა მიუთითებს სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის რეესტრის დაახლოებით 3 წელიწადში ერთხელ გადახედვას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N45 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის განახლებული რეესტრი, რომელმაც მოიცვა სახელმწიფო საწარმოთა დაფარვის გაფართოებული არეალი და რიგ საწარმოებთან მიმართებით სექტორის დაზუსტება. შედეგად, 52 საწარმო მიეკუთვნა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსების შესახებ ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების დაფარვის არეალის გაზრდის მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N46 ბრძანებით დამტკიცდა შესაბამის ვადებში სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კვარტალურად და წლიურად წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა, რომელიც ეფუძნება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციას.



საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N1012 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობის განხორციელების წესი. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ასრულებს ფინანსური ზედამხედველის როლს 7 ძირითად სახელმწიფო საწარმოსთან მიმართებით. ფინანსთა სამინისტროს მიერ ამ როლის შესრულება უმთავრესად გულისხმობს საწარმოთა ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების, დივიდენდების პოლიტიკის, საინვესტიციო და სესხის აღების

გადაწყვეტილებების, კორპორაციული განზრახვის განაცხადების (შემდგომში კგგ, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დადგენილი რისკების ლიმიტების ფარგლებში საწარმოს მიერ მისაღწევ ფინანსურ და არაფინანსური მიზნებს 4 წლიან პერსპექტივაში) შეთანხმებას. პირველად 2022 წლის ოქტომბერში საწარმოებმა უზრუნველყვეს კგგ-ების ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენა. საწარმოების მართვა კგგ-ს საფუძველზე წარმოადგენს საწარმოთა სტრატეგიული მართვის კარგ საერთაშორისო სტანდარტს, რაც ხელს უწყობს საწარმოებში პროგნოზირებადობის და შედეგზე ორიენტირებული მართვის პრაქტიკის განვითარებას. ამასთან, ფინანსური ზედამხედველობის წესის აღსრულება, ზოგადად, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საწარმოების ფინანსური გამჭვირვალობის, მართვის სტანდარტების გაუმჯობესების და პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად. ფინანსთა სამინისტრო განაგრძობს ამ მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას.

სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი ფარავს სახელმწიფო საწარმოთა 94%-ს (სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები) ბრუნვის მიხედვით

სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების,


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საწარმოები. ასეთ საწარმოებად განხილულია:

- ა) ცენტრალური მთავრობის ყველა საწარმო;
- ბ) მუნიციპალური საწარმოები, რომელშიც სახელმწიფოს წილი 25%-ზე მეტია და რომელთა წლიური ბრუნვა აღემატება 200 ათას ლარს, ან გაცემული წლიური ხელფასი აღემატება 15 ათას ლარს.


საწარმოების აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ფინანსური მონაცემები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ამ საწარმოთათვის შეიქმნა 2022 წლის ფინანსური მონაცემების ბაზა.

ზემოთ მითითებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ფისკალური რისკების ანალიზისთვის წარმოდგენილია 310 სახელმწიფო საწარმო, 152 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 158 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია, ასევე, ჩამოთვლილ საწარმოებს ჯამურად გააჩნიათ 93 შვილობილი საწარმო.


ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვაში არსებულ სახელმწიფო სანარმოთა რაოდენობა



საწარმოთა რაოდენობრივი განაწილება ცენტრალური ხელისუფლების აქციონერების მიხედვით (სულ - 152)




საწარმოთა რაოდენობრივი განაწილება მუნიციპალიტეტებს შორის




მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული 158 საწარმოდან 45 კომპანია მოდის თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებზე, რომელთა წლიური ბრუნვის წილი მუნიციპალური საწარმოების მთლიანი ბრუნვის 94 პროცენტს შეადგენს.

საწარმოთა განაწილება შემოსავლის მიხედვით მუნიციპალიტეტებს შორის





საწარმოთა რაოდენობრივი განაწილება სექტორებს შორის



საწარმოთა ბრუნვის განაწილება სექტორების მიხედვით



რაოდენობრივად ყველაზე მეტი - 71 საწარმო წარმოდგენილია ჯანდაცვის სექტორში, თუმცა, მათი წილი სახელმწიფო საწარმოთა ჯამურ ერთობლივ შემოსავალში მხოლოდ 1%-ია. მეორე მხრივ, ენერგეტიკული სექტორის 22 საწარმო ქმნის მთლიანად სახელმწიფო საწარმოთა ერთობლივი შემოსავლის 53%-ს.

სახელმწიფო სანარმოების მიერ მიღებული დაფინანსება

(მლნ ლარი)



■ სესხი
 ■ სუბსიდია
 ■ ღირებულება

საქართველოს მთავრობის №2423 2022 წლის 26 დეკემბრის განკარგულების ფარგლებში სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ სახელმწიფო ბიჯეტიდან, დახმარების სახით, მიიღო სესხი 230 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს 2003 წლის 30 ოქტომბერს კორპორაციასა და კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company“-ს

შორის გაფორმებული ოფციური გაზის კონტრაქტის შესაბამისად ოფციური გაზის გაზრდილი მოცულობების საავანსო წესით შესყიდვისა და „სესხის მიმღების“ ფინანსური სტაბილურობის და ლიკვიდურობის უზრუნველყოფა 2022-23 წლებში საოპერაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით. სესხის დაფარვა დაგეგმილია 2 ეტაპად 2023-2024 წლებში.

სანარმოების მიერ მიღებული სუბსიდიები

(მლნ ლარი)



კომპანიები შპს საქართველოს მელიორაცია, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის

კომპანია, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, შპს ბლექ სი არენა ჯორჯია, შპს

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დამოკიდებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულ ფინანსურ დახმარებაზე. ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხები მიიმართება როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ასევე საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

2022 წელს შპს ბლექ სი არენა ჯორჯიამ მიიღო 73,2 მლნ ლარი 2023-2024 წლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების მიზნით. აღნიშნული თანხა მოიცავს, როგორც არტისტების ჰონორარებს, ასევე ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე 2021 წელს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილმა სუბსიდიამ 60 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 80 მლნ ლარი. აღნიშნული სახსრები გამოყენებულ იქნა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული სასესხო ვალდებულებების დასაფარად და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.


ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური სერვისების, მშენებლობის და სხვა სექტორებში თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით ასევე მუდმივად საჭიროებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან

მხარდაჭერას. 2022 წელს მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილ იქნა 450,7 მლნ ლარი, შესაბამისად. მათ შორის მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის საწარმოებზე მოდის მთლიანი მოცულობის 81%.


შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე გაცემულმა სუბსიდიამ 2022წ გადააჭარბა 230 მლნ ლარს, რაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის და რეკონსტრუქციის პროექტების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი.

შპს თბილსერვის ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები.

მუნიციპალური საწარმოების მიერ მიღებული სუბსიდიები (მლნ ლარი)



სახ. საწარმოებზე გადასესხებული თანხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მილიარდი ლარი)



სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები

• 2022 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა ჩატარდა 2022 წლის 24 ნოემბერს.

• სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 11 საწარმოს წმინდა მოგების - 27.3 მლნ ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით 0.3 მლნ ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით, ხოლო 27 მლნ ლარი დარჩა საწარმოთა განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის. აქედან სს გეს „საქრუსენერგოს“ განკარგულებაში დატოვებული თანხა შეადგენს 25.8 მლნ ლარს.

- 2023 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა ჩატარდა 2023 წლის 28 მარტს.
- კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ 2017-2020 წლების გაუნაწილებელი მოგების - 1.7 მლნ ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით აღნიშნული თანხა დარჩა საწარმოს განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის.

მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ

რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?

კვაზი-ფისკალურია აქტივობა, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს ცხადად, მთავრობის დავალებით ან ფარულად და ამ საქონლის/მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი თანხა, საბაზრო ფასზე ან არსებულ პრაქტიკაზე დაბალია. უფრო რომ განვაზოგადოთ, კვაზი-ფისკალურია ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული/კომერციული საწარმო არ განახორციელებდა. ასეთი აქტივობები ძირითადად ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება საბაზრო ფასზე ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, ასევე, სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა

შეუსაბამოდ დიდი რაოდენობა ან/და სახელფასო ფონდი.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ახდენს საწარმოებისთვის ასეთი ტიპის აქტივობების კომპენსირებას ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საწარმოებს თავად უწევთ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებული ტვირთის საკუთარ თავზე აღება, რაც აუარესებს მათ ფინანსურ შედეგებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც საწარმოთათვის არაკომპენსირებულ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებულ ტვირთს შეამსუბუქებს ან ნულამდე დაიყვანს. ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული სახელმწიფო საწარმოთათვის ასეთი ტვირთის შემდგომი წარმოშობაც. ამასთან, აღნიშნულის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დონეზე აღმოფხვრილია ნებისმიერი სხვა სახის არაეფექტურობა და პრაქტიკულად კვაზი-ფისკალური აქტივობის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა შემდგომი საანგარიშო წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს უბრუნდება საწარმოს მიერ გადახდილი დივიდენდის სახით.

კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები

კვაზი-ფისკალური აქტივობა შესაძლოა იყოს **ცხადი** (კომპანიის წესდებით, ან მთავრობის/სამინისტროს/უწყების სამართლებრივი აქტით განსაზღვრული) და **ფარული** (კომპანია ახორციელებს კვაზი-ფისკალურ აქტივობებს ამ ფუნქციის სამართლებრივი აქტით დაკისრების გარეშე). ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა საჭიროზე მეტი რაოდენობა სოციალური ან/და პოლიტიკური მიზნებისთვის.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობა უნდა იყოს აკრძალული. დაუშვებელია სახელმწიფო საწარმოს მიერ არაკომერციული

მომსახურებების (NCSO-ები) განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი არიან ცხადი და მათი ღირებულება სრულადაა კომპენსირებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

გარდა ამისა არსებობს შემდეგი სახის კვაზი-ფისკალური აქტივობები:

არაკომერციული მომსახურება (NCSO): კომერციულ ფასზე ნაკლები ტარიფის დაწესება. მაგალითად, ხელოვნურად დაბალი ტარიფის დაწესება კომუნალურ სერვისებზე, როგორცაა ელექტროენერგია, წყალი;

არამირითადი ფუნქციების განხორციელება: მთავრობის მიერ დაკისრებული ვალდებულებები, მაგალითად კაპიტალური ხარჯის გაწევა, რომელიც არაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან;

სუბსიდირებული შესყიდვები: საბაზროზე მაღალი ფასის გადახდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შექმნა ადგილობრივი ფერმერებისაგან საბაზრო ფასზე მაღალ ფასად, ფერმერების წახალისების მიზნით

მონოპოლიური პოზიციის გამოყენება: მომხმარებლებისაგან კომერციულად არასამართლიანი საფასურის მიღება (იმაზე მეტი ვიდრე ეს გამართებული იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით). დამატებითი შემოსავლების გამოყენება კომპანიის სხვა საქმიანობების ჯვარედინი სუბსიდირების მიზნით. (ერთი საქმიანობის დაფინანსების პრაქტიკა, სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებით);

სუპერ-დივიდენდები: საწარმოს მიერ იმაზე მეტი დივიდენდის გადახდა, ვიდრე

საანგარიშო პერიოდის მოგებით იყო შესაძლებელი. ასეთი გადახდები ხორციელდება ძირითადად საწარმოს აქტივების გაყიდვით (ერთჯერადი ოპერაცია) ან სხვა აკუმულირებული რეზერვებიდან.

ფასის კორექტირება შემოსავლების ზრდის მოკლევადიანი მიზნებისათვის: საქონლისა და მომსახურებისათვის უფრო მაღალი ფასის დაწესება, რათა მოკლევადიან პერიოდში გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოს მოგება და დივიდენდები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს შეამცირებს საწარმოს წილს ბაზარზე და მის მოგებას საშუალოვადიან პერიოდში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყოფა სახელმწიფო საწარმოს კომერციული და არაკომერციული მომსახურებები.

არსებული პრაქტიკები

კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, ანალიზი და გამოქვეყნება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლიდან დაიწყო. უკანასკნელი გამოცდილებით 3 საწარმოში იდენტიფიცირებული ცხადი კვაზი-ფისკალური აქტივობები. თუმცა, ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობები გაცილებით დიდი მოცულობის უნდა იყოს.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია ჭარბი დასაქმება.

კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო სანარმოთა ფინანსურ შედეგებზე

შპს ენგურჰესი	2021		2022	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	133.6		158.2	
საოპერაციო შემოსავალი	96.1		109.6	
არასაოპერაციო შემოსავალი	37.5		48.6	
სულ ხარჯები	91.2	29.6	98.7	49.2
საოპერაციო ხარჯები	88.0	29.6	95.4	49.2
არასაოპერაციო ხარჯები	3.2		3.3	
მიუღებელი მოგება				49.2
მოგება დაბეგვრამდე	72.0	-29.6	108.7	-49.2
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	72.0	-29.6	108.7	-49.2

- ცხრილიდან ჩანს, რომ შპს ენგურჰესმა ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობისთვის ელექტროენერჯიის უსასყიდლოდ მიწოდებით თითქმის 50

მილიონი ლარის შემოსავალი დაკარგა, რაც ენგურჰესის 2022 წლის წლიური გამომუშავების დაახლოებით 57%-ს შეადგენს.

სს საქართველოს რკინიგზა	2021		2022	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	664.7	15.3	901.4	38.6
საოპერაციო შემოსავალი	556.8	14.8	646.5	28.2
არასაოპერაციო შემოსავალი	107.9	0.5	245.8	10.3
სულ ხარჯები	611.5	37.8	496.4	46.1
საოპერაციო ხარჯები	391.4	37.7	429.6	42.4
არასაოპერაციო ხარჯები	220.1	0.1	66.8	3.6
მიუღებელი მოგება	0	22.5	0	7.5
მოგება დაბეგვრამდე	75.7	-22.5	404.9	-7.5

სს საქართველოს რკინიგზა	2021		2022	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
მოგების გადასახადი	-0.5	0	-644.0	.0
წმინდა მოგება	75.2	-22.5	404.2	-7.5

- სს საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვიდან მიღებული შემოსავალი 2022 წელს 388.4 მლნ ლარს შეადგენს, სწორედ ტვირთბრუნვიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე სს საქართველოს რკინიგზა ასუბსიდირებს მგზავრების გადაყვანას. ამ მიმართულებით ნულოვანი მოგების მისაღწევად

კომპანიამ 2022 წელს დაახლოებით 7.5 მილიონი ლარით იზარალა. ამის გარდა, გამოწვევას წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანის ტარიფში ინფრასტრუქტურის ცვეთის კომპონენტის ასახვა ან აღნიშნულის დაფარვა კომპანიისთვის ხელმისაწვდომი სხვა სახსრებიდან.

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2021		2022	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	1250.6		1511.1	
საოპერაციო შემოსავალი	1114.6		1353.4	
არასაოპერაციო შემოსავალი	136.0		157.7	
სულ ხარჯები	1113.0		1402.0	
საოპერაციო ხარჯები	1065.9		1379.6	
არასაოპერაციო ხარჯები	47.1		31.4	
მიუღებელი მოგება		302.1		336.7
მოგება დაბეგრამდე	439.7	-302.1	445.8	-336.7
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	439.7	-302.1	445.8	-336.7

- კომპანია კვლავ მნიშვნელოვან ზარალს განიცდის სოციალური გაზის მიწოდებით. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წელს შეადგინა 336 მილიონი ლარი. მოკლევადიანი ლიკვიდურობის

პრობლემების აღმოსაფხვრელად კორპორაციას 2022 წელს დაჭირდა სახელმწიფოსგან მოკლევადიანი სესხის სახით მხარდაჭერა 230 მილიონი ლარის ოდენობით.

სახელმწიფო სანარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2022 წლის ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგინა 117-მა სანარმომ.

- მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე სახელმწიფო სანარმოების წმინდა მოგებამ 2022 წელს 1.0 მილიარდი ლარი, მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება იყო 787.3 მილიონი ლარი. მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით კი წმინდა მოგებამ მიაღწია 1.4 მილიარდ ლარს, მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგების ეფექტი იყო 1 171 მილიონი ლარი;
- როგორც სახელმწიფო სანარმოთა აგრეგირებული შედეგებიდან ჩანს, გაგრძელდა 2021 წლის ტენდენცია და 2022 წლის წმინდა მოგების მაჩვენებელი ასევე უმთავრესად განპირობებულია კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგებით.

- მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სანარმოთა სექტორში ბოლო 2 წლის დინამიკა დრამატულადაა გაუმჯობესებული წინა წლებთან შედარებით, ეს ხაზს უსვამს მხოლოდ სექტორის მოწყვლადობას გარე ფაქტორებზე, უმთავრესად კი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობის რისკებზე. ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში სახელმწიფო სანარმოები მომავალ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში ამდენივე ოდენობით განიცდიან ზარალს. სანარმოებისთვის მიმდინარე პერიოდი არის უნიკალური მომენტი შეიმცროს უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება მათი სესხების გარკვეული ნაწილის ლარიზაციით.

ქვემოთ მოცემულია სახელმწიფო სანარმოთა ჯამური ფინანსური შედეგები მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით და გარეშე².

ბალანსი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	მლნ ლარი				
	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	11,951	12,575	13,394	14,457	15,516
მიმდინარე აქტივები	2,623	2,464	2,465	2,481	3,666
გრძელვადიანი აქტივები	9,328	10,112	10,930	11,975	11,850
კაპიტალი	4,302	4,322	3,570	4,928	6,347
საწესდებო კაპიტალი	5,418	5,216	6,721	7,042	9,096
კაპიტალში შენატანები	2,772	2,765	2,148	2,147	68

² მარაბდა-კარწახის რკინიგზის საქმიანობა არ მოიაზრებს მოგების გენერირებას, ასევე, აღნიშნული კომპანია არ შედის სახელმწიფო კორპორაციების ან სამთავრობო სექტორში. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო სანარმოთა ჯამური

ფინანსური შედეგების მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე განხილვა. ამასთან, გამჭვირვალობისთვის ვურთავთ ორივე ვერსიას.

გაუნაწილებელი მოგება	70	45	188	338	988
დაუფარავი ზარალი	-3,828	-4,174	-6,166	-5,490	-5,050
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-130	471	679	891	1,246
ვალდებულებები	7,650	8,253	9,824	9,528	9,169
მიმდინარე ვალდებულებები	1,691	1,047	2,203	1,893	2,396
გრძელვადიანი ვალდებულებები	5,958	7,207	7,621	7,635	6,773
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,951	12,575	13,394	14,457	15,516

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	2,958	3,242	3,801	4,757	6,706
საოპერაციო შემოსავალი	2,636	2,943	3,064	3,688	4,885
არასაოპერაციო შემოსავალი	322	299	737	1,069	1,820
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღ. მოგება	140	109	218	800	1,171
ხარჯი	3,771	3,477	4,940	4,257	5,348
საოპერაციო ხარჯი	3,264	2,828	3,292	3,680	5,010
ცვეთა/ამორტიზაცია	317	278	354	315	321
არასაოპერაციო ხარჯი	507	650	1,648	577	338
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	171	171	431	360	185
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღ. ზარალი	272	436	1,171	137	24
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	64	43	50	40	128
მოგება დაბეგვრამდე	-813	-235	-1,138	500	1,358
მოგების გადასახადი	3	2	2	2	1
წმინდა მოგება	-816	-237	-1,075	537	1,356

ფინანსური კოეფიციენტები

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2018	2019	2020	2021	2022
ROA	-7%	-2%	-8%	4%	9%
ROE	-19%	-5%	-30%	11%	21%
Current Ratio	155%	235%	112%	131%	153%
Debt to Equity	178%	191%	275%	193%	144%

ბალანსი

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	10,490	11,040	11,715	12,607	13,582
მიმდინარე აქტივები	2,365	2,216	2,220	2,235	3,431
გრძელვადიანი აქტივები	8,125	8,824	9,495	10,372	10,151
კაპიტალი	4,966	5,169	4,799	6,034	7,109
საწესდებო კაპიტალი	5,361	5,159	6,663	6,985	9,038
კაპიტალში შენატანები	2,742	2,765	2,148	2,147	68
გაუნაწილებელი მოგება	70	45	188	338	988

დაუფარავი ზარალი	-3,077	-3,241	-4,850	-4,298	-4,201
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-130	441	650	861	1,216
ვალდებულებები	5,524	5,871	6,916	6,573	6,473
მიმდინარე ვალდებულებები	1,673	1,023	2,175	1,864	2,376
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,851	4,848	4,741	4,710	4,097
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10,490	11,040	11,715	12,607	13,582

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	2,824	3,170	3,599	4,472	6,322
საოპერაციო შემოსავალი	2,636	2,943	3,064	3,688	4,885
არასაოპერაციო შემოსავალი	188	227	535	784	1,437
მ.შ.კურსთაშორისი სხვაობით მიღ.მოგება	5	37	15	515	787
ხარჯი	3,534	3,223	4,355	4,095	5,307
საოპერაციო ხარჯი	3,244	2,806	3,270	3,656	4,985
ცვეთა/ამორტიზაცია	315	277	352	314	320
არასაოპერაციო ხარჯი	290	417	1,085	440	323
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	160	162	415	343	170
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღ. ზარალი	70	212	623	16	24
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	60	43	50	40	128
მოგება დაბეგვრამდე	-710	-53	-756	376	1,014
მოგების გადასახადი	3	2	2	2	1
წმინდა მოგება	-713	-55	-692	413	1,013

ფინანსური კოეფიციენტები

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2018	2019	2020	2021	2022
ROA	-7%	0%	-6%	3%	7%
ROE	-14%	-1%	-14%	7%	14%
Current Ratio	141%	216%	102%	120%	144%
Debt to Equity	111%	114%	144%	109%	91%

სახელმწიფო საწარმოთა რისკის რეიტინგი

N	საწარმოს დასახელება	2018	2019	2020	2021	2022

1	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	დაბალი	მაღალი ³	მაღალი	მაღალი	მაღალი
2	სს საქართველოს რკინიგზა	ძალიან მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო
3	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
4	შპს ენერგოტრანსი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	<i>შერჩევა სახელმწიფო ელექტროსისტემას</i>		
5	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	მაღალი	საშუალო	მაღალი
6	შპს ენგურჰესი	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო
7	სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	საშუალო	ძალიან მაღალი ⁴	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი
8	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი
9	შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი

³ 2022 წლის ფინანსურ კოეფიციენტებზე დაყრდნობით სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია არის საშუალო რისკიანი, თუმცა მას მიენიჭა მაღალი რისკის სტატუსი დიდი მოცულობის კვაზი-ფისკალური რისკების გამო. კერძოდ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მკვეთრად იზრდება ფინანსური ტვირთი, რომელიც კორპორაციის მიერ საყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნებას უკავშირდება.

⁴ 2022 წლის ფინანსურ კოეფიციენტებზე დაყრდნობით სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) არის საშუალო რისკიანი, თუმცა მას მიენიჭა ძალიან მაღალი რისკის სტატუსი, რადგან ესკოს ვალდებულება ახლად აშენებული ელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის გარანტირებულად შესყიდვა (PPA), მიუხედავად იმისა, მომხმარებლებისგან მიიღებს თუ არა გაყიდული ელექტროენერგიის საფასურს, რაც კომპანიისათვის წარმოადგენს რისკს.

10	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	დაბალი	დაბალი	საშუალო	დაბალი	დაბალი
11	სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	ძალიან მაღალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	დაბალი
12	შპს საქართველოს ფოსტა	მაღალი	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო
13	სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი
14	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო
15	შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო

სახელმწიფო სანარმოთა შედეგები

საპენსიო ფონდების გარდა, სხვა ჯგუფებში ჩაურთველი

აღმასრულებელი დირექტორი: ბესიკ ბუგანიშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: დავით საგანელიძე

სს საპარტნიორო ფონდი



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვეო და

ძირითადი საქმიანობა:

- **საინვესტიციო საქმიანობა** - ინვესტიციების განხორციელება პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

კომპანიის რისკის რეიტინგი საშუალო რისკიანიდან გაუმჯობესდა დაბალ რისკიანზე, რაც ახსნადია რიგი გარემოებებით:

- შემცირდა კომპანიის საქმიანობის მასშტაბი და ასეთივე პროპორციით შემცირდა კომპანიასთან ასოცირებული ფისკალური რისკები. კერძოდ, კომპანიის მართვაში არსებული მსხვილი საწარმოები - საქართველოს რკინიგზა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია დაუბრუნდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
- კომპანიამ 2022 წელს წინსრებით დაფარა კრედიტ ევროპა ბანკის მიმართ დარჩენილი სესხი;
- საპარტნიორო ფონდის სესხს საქართველოს რკინიგზის მიმართ 18.1 მლნ ლარის ოდენობით საქართველოს

მთავრობის განკარგულების შესაბამისად გაიქვითება გარდაბნის თბოელექტროსადგურის წილში მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში;

- კომპანიამ გაანულა ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ არსებული სესხი;
- ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კომპანიას სხვა სესხები არ აქვს;
- ფონდის სესხების დაფარვის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა კომპანიის მიერ მიღებული დივიდენდები.

კომპანიაში ამ მომენტისათვის არ არის დასრულებული აუდიტის პროცესი. ქვემოთ წარმოდგენილია ფონდის არააუდირებული ინდივიდუალური ანგარიშგება, ხოლო კონსოლიდირებული ანგარიშგება არ არის ხელმისაწვდომი:

ბალანსი

მლნ ლარი

სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	1.786	1.736	1.605	1.583	395
მიმდინარე აქტივები	105	12	67	35	92
გრძელვადიანი აქტივები	1.681	1.724	1.537	1.548	303
კაპიტალი	1.507	1.563	1.408	1.416	345
საწესდებო კაპიტალი	100	100	100	100	100
კაპიტალში შენატანები	2.664	2.675	2.084	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	245
დაუფარავი ზარალი	-1.256	-1.212	-775	-769	0
სხვა დანარჩენი კაპიტალი	0	0	0	2.085	0
ვალდებულებები	279	173	196	167	50

მიმდინარე ვალდებულებები	245	133	146	59	50
მ.შ. მიმდინარე სესხები	239	127	144	57	49
გრძელვადიანი ვალდებულებები	34	40	51	108	0
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	34	40	51	108	0
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1.786	1.736	1.605	1.583	395

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	99	100	74	36	488
საოპერაციო შემოსავალი	88	90	50	12	453
არასაოპერაციო შემოსავალი	11	10	25	25	34
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	0	0	8	16
ხარჯი	778	55	69	29	401
საოპერაციო ხარჯი	744	21	40	17	388
ცვეთა/ამორტიზაცია	1	1	1	1	1
არასაოპერაციო ხარჯი	34	33	29	12	12
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	32	20	13	12	12
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	2	14	14	0	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	1	0	0
მოგება დაბეგვრამდე	-680	45	5	7	87
მოგების გადასახადი	1	1	2	1	0
წმინდა მოგება	-681	44	4	7	87

ფინანსური კოეფიციენტები

სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2018	2019	2020	2021	2022
ROA	-38%	3%	0%	0%	22%
ROE	-45%	3%	0%	0%	25%

Current Ratio	43%	9%	46%	60%	183%
Debt to Equity	18%	11%	14%	12%	15%

წელი	2018	2019	2020	2021	2022
Return on Assets	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Current Ratio	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	დაბალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	მაღალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	დაბალ რისკიანი

სს. საქართველოს რკინიგზა



სახელმწიფოს წილი: 100% (2023 წლის ივნისიდან კომპანიის აქციების 50% მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი, მგზავრთა გადაყვანა

გენერალური დირექტორი: დავით ფერაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: კონსტანტინე გუნცაძე

ძირითადი საქმიანობა:

- სატვირთო გადაზიდვა, მათ შორის, სატვირთო ვაგონების გაქირავება;
- მგზავრთა გადაყვანა;
- ინფრასტრუქტურა - ლიანდაგების, ჯებირების, სარკინიგზო სიგნალიზაციის,

ელექტროხაზების და სხვა აღჭურვილობის შენარჩუნება და მართვა, ასევე, სარკინიგზო ხაზების მშენებლობა.

- კომპანიის აუდიტირებული ანგარიშგების თანახმად, 2022 წლის ბოლოს კომპანიის წმინდა მოგება შეადგინა 397 მლნ ლარი;
- მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, კომპანიისთვის ამ მომენტისთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის ამორტიზაცია. აუცილებელია, უახლოეს პერიოდში შემუშავდეს კომპანიის საინვესტიციო პრიორიტეტების გეგმა, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს რკინიგზის საოპერაციოს საქმიანობის უსაფრთხო და უწყვეტად გაგრძელებას, მეორე მხრივ, არ გააუარესებს კომპანიის გადახდისუნარიანობას.

ბალანსი

მლნ ლარი

სს საქართველოს რკინიგზა	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	2.264	2.314	2.348	2.260	2.400
მიმდინარე აქტივები	319	330	389	272	339
გრძელვადიანი აქტივები	1.945	1.983	1.959	1.988	2.061
კაპიტალი	529	523	359	413	781
საწესდებო კაპიტალი	1.054	1.053	1.054	1.055	1.055
კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	-625	-630	-795	-742	-374
სხვა დანარჩენი კაპიტალი	100	100	100	101	101
ვალდებულებები	1.735	1.790	1.988	1.847	1.618
მიმდინარე ვალდებულებები	352	243	185	153	163
მ.შ. მიმდინარე სესხები	134	65	74	16	14
გრძელვადიანი ვალდებულებები	1.383	1.547	1.803	1.694	1.455
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	1.337	1.501	1.703	1.591	1.378
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2.264	2.314	2.348	2.260	2.400

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საქართველოს რკინიგზა	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	459	519	528	665	940
საოპერაციო შემოსავალი	444	504	502	557	691
არასაოპერაციო შემოსავალი	15	15	27	108	249

მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	0	0	84	219
ხარჯი	1.174	524	693	612	543
საოპერაციო ხარჯი	1.089	396	373	391	472
ცვეთა/ამორტიზაცია	114	81	76	58	67
არასაოპერაციო ხარჯი	85	128	320	220	70
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	47	43	128	101	64
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	38	85	192	0	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	0	119	6
მოგება დაბეგვრამდე	-715	-5	-164	53	397
მოგების გადასახადი	1	1	1	1	1
წმინდა მოგება	-717	-6	-165	53	397

ფინანსური კოეფიციენტები

სს საქართველოს რკინიგზა	2018	2019	2020	2021	2022
ROA	-32%	0%	-7%	2%	17%
ROE	-135%	-1%	-46%	13%	51%
Current Ratio	91%	136%	210%	178%	208%
Debt to Equity	328%	342%	553%	447%	207%

წელი	2018	2019	2020	2021	2022
Return on Assets	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

Current Ratio	ძალიან მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
Debt to Equity	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	ძალიან მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია



საქართველოს
ნავთობისა და გაზის
კორპორაცია

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საბითუმო ვაჭრობა ბუნებრივი აირით

გენერალური დირექტორი: გიორგი ჩიქოვანი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ვაჟა ხიდაშელი

ძირითადი საქმიანობა:

- ბუნებრივი გაზი (ბუნებრივი გაზის იმპორტი და შემდგომი საბითუმო რეალიზაცია ელექტროგენერაციის ობიექტებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ გაცემული მილსადენების იჯარა. ამასთან, საიჯარო ქირის მიმღებს წარმოადგენს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შვილობილი კომპანია შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“);
- ელექტროენერგია (შედარებით ახალი მიმართულება - ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდება ქ. გარდაბანში

მდებარე თბოელექტროსადგურების მეშვეობით. ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება საბითუმოდ გამანაწილებელი კომპანიებისთვის. გარდა ამისა, მაგალითად, გარდაბნის თბოსადგური შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს იღებს გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფიდან);

- ნავთობი (საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს კუთვნილი წილის რეალიზაცია, ასევე, bp-ზე ფინანსური ლიზინგით გაცემული ნავთობსადენის იჯარა).
- 2022 წელს კორპორაციის ჯგუფმა განიცადა საოპერაციო ზარალი, რაც მოსალოდნელი იყო ენერგეტიკის სექტორში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, თუმცა, უკანასკნელ წლებში კორპორაციის ჯგუფის საოპერაციო ზარალი პირველად დაფიქსირდა.
- კორპორაციის ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლებისთვის დიდი საფრთხეა კვაზი-ფისკალური აქტივობების მზარდი დონე.
- 2022 წელს კორპორაციის ჯგუფის წმინდა მოგება 2021 წელთან შედარებით შემცირდა დაახლოებით 20%-ით და შეადგინა 109 მლნ ლარი. წმინდა მოგების ამ მაჩვენებლის მიღწევა ძირითადად განპირობებულია კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგებით (134 მლნ ლარი).

ბალანსი

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	1.693	1.882	1.844	1.901	2.264
მიმდინარე აქტივები	552	490	442	538	978
გრძელვადიანი აქტივები	1.141	1.392	1.403	1.363	1.285
კაპიტალი	988	1.052	907	1.045	1.023
საწესდებო კაპიტალი	627	643	646	646	695
კაპიტალში შენატანები	72	60	60	60	68
გაუნაწილებელი მოგება	481	541	403	503	543
დაუფარავი ზარალი	0	0	0	0	0
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-191	-192	-201	-164	-282
ვალდებულებები	705	830	937	856	1.241
მიმდინარე ვალდებულებები	47	121	937	856	1.183
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	711	797
გრძელვადიანი ვალდებულებები	658	710	0	0	57
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	0	0	57
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1.693	1.882	1.844	1.901	2.264

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	687	914	1.024	1.251	1.511
საოპერაციო შემოსავალი	643	874	997	1.115	1.353
არასაოპერაციო შემოსავალი	44	40	27	136	158

მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	0	0	114	134
ხარჯი	538	796	1.021	1.113	1.402
საოპერაციო ხარჯი	474	730	863	1.066	1.371
ცვეთა/ამორტიზაცია	38	41	59	71	63
არასაოპერაციო ხარჯი	65	65	158	47	31
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	43	28	51	46	31
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	22	38	103	0	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	0	1	0
მოგება დაბეგვრამდე	149	118	3	138	109
მოგების გადასახადი	0	0	0	0	0
წმინდა მოგება	150	120	3	138	109

ფინანსური კოეფიციენტები

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2018	2019	2020	2021	2022
ROA	9%	6%	0%	7%	5%
ROE	15%	11%	0%	13%	11%
Current Ratio	1186%	406%	47%	63%	83%
Debt to Equity	71%	79%	103%	82%	121%

წელი	2018	2019	2020	2021	2022
Return on Assets	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

Return on Equity	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Current Ratio	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
Debt to Equity	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	დაბალ რისკიანი	საშუალო რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის გადაცემა

გენერალური დირექტორი: გიორგი გიგინეიშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: იორგ მათიესი

ძირითადი საქმიანობა:

- ელექტროენერჯის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია (ერთადერთი ლიცენზიანიტი); სსე ახორციელებს სისტემის ტექნიკურ მართვას ელექტროენერჯის მიწოდება-მოხმარების სტაბილური რეჟიმის უზრუნველსაყოფად და ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე, გადასცემს საქართველოში წარმოებულ ან იმპორტირებულ ელექტროენერჯას

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს, პირდაპირ მომხმარებლებს ან მეზობელი ქვეყნების ელექტროსისტემებს. ასევე, უზრუნველყოფს საერთაშორისო და შიდა ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობას.

- სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის შემოსავლის ნაწილი რეგულირებულია რეგულატორის მიერ. აუცილებელია, ინფრასტრუქტურული პროექტები დაიგეგმოს ისე, რომ არ დაირღვეს კომპანიის კომერციული ინტერესები, კომპანიას არ შეექმნას მოკლე და საშუალო-ვადიანი ლიკვიდურობის პრობლემები;
- რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ კომპანია ინარჩუნებს ფინანსური გაჯანსაღების ტენდენციას. 2022 წელს კომპანიის წმინდა მოგება გაიზარდა 304 მლნ ლარამდე, რაც გამოიწვია კომპანიის მიერ გადაცემული ელექტროენერჯის (მათ შორის, ტრანზიტული ელექტროენერჯის) და ექსპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობის ზრდის შედეგად შემოსავლების ზრდამ და ამ შემთხვევაშიც კურსთაშორისი სხვაობით მიღებულმა მოგებამ (168 მლნ ლარი).

ბალანსი

მლნ ლარი

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	1.130	946	1.387	1.490	1.701
მიმდინარე აქტივები	117	144	149	67	224
გრძელვადიანი აქტივები	1.013	802	1.238	1.424	1.476
კაპიტალი	-127	334	-93	152	503
საწესდებო კაპიტალი	643	645	663	663	665
კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	57	0	235	0
დაუფარავი ზარალი	-781	-380	-770	-769	-231
სხვა დანარჩენი კაპიტალი	12	11	14	23	68
ვალდებულებები	1.257	612	1.480	1.339	1.198
მიმდინარე ვალდებულებები	633	104	313	211	230
მ.შ. მიმდინარე სესხები	556	32	173	130	135
გრძელვადიანი ვალდებულებები	624	508	1.167	1.128	968
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	459	455	1.050	872	713
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1.130	946	1.387	1.490	1.701

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	245	244	380	448	539
საოპერაციო შემოსავალი	237	190	197	297	356
არასაოპერაციო შემოსავალი	8	54	184	151	184
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	1	32	0	138	168
ხარჯი	198	187	418	214	235

საოპერაციო ხარჯი	171	115	157	173	193
ცვეთა/ამორტიზაცია	47	35	47	65	71
არასაოპერაციო ხარჯი	27	71	261	41	42
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	21	10	23	40	42
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	6	61	230	0	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	8	0	0
მოგება დაბეგვრამდე	47	57	-38	235	304
მოგების გადასახადი	0	0	10	0	0
წმინდა მოგება	47	57	-48	235	304

ფინანსური კოეფიციენტები

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	2018	2019	2020	2021	2022
ROA	4%	6%	-3%	16%	18%
ROE	-37%	17%	51%	155%	61%
Current Ratio	18%	138%	48%	32%	98%
Debt to Equity	-989%	183%	-1590%	883%	238%

წელი	2018	2019	2020	2021	2022
Return on Assets	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Current Ratio	ძალიან მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი

Debt to Equity	ძალიან დაბალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის განაწილება

გენერალური დირექტორი: კახაბერ ქეზურია

ძირითადი საქმიანობა:

- საბალანსო ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა (ახორციელებს

თბოელექტროსადგურებიდან გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვას, რეალიზაციას და შესაბამის გადახდებს)

- ელექტროენერჯის იმპორტი/ექსპორტი.
- სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) ფლობს ბუნებრივ მონოპოლიას საბალანსო ელექტროენერჯის მიწოდებაზე.
- ესკო წარმოადგენს მხარეს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებში (PPA)

ბალანსი

მლნ ლარებში

სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	87	76	98	148	124
მიმდინარე აქტივები	86	74	97	144	120
გრძელვადიანი აქტივები	1	2	1	4	4
კაპიტალი	14	13	17	24	27
საწესდებო კაპიტალი	0	0	0	0	0

კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	13	13	17	24	26
დაუფარავი ზარალი	0	0	0	0	0
სხვა დანარჩენი კაპიტალი	0	0	0	0	1
ვალდებულებები	73	63	81	124	98
მიმდინარე ვალდებულებები	73	63	81	124	98
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0	0	0
დაბალი ეკონომიკური ზრდის, ვალუტის გაუფასურების და საპროცენტო განაკვეთის კომბინაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საწარმოთა წმინდა მოგებაზე. კომბინირებული შოკის პირობებში დაგეგმილი წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ მცირდება დაახლოებით 2 760 მილიონი ლარით.



აღნიშნული კლება შეადგენს მშპ-ს დაახლოებით 4%-ს.


გრაფიკი 11. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება კომბინირებული შოკის სცენარისთვის

კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება თითქმის იმავე მოცულობით, რითაც გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების მაჩვენებელი, დაახლოებით 2 720 მილიონი ლარით. წმინდა ღირებულების დანაკარგის მცირედით გაჯანსაღება შემდგომ პერიოდში მოსალოდნელია.



გრაფიკი 12. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა კომბინირებული შოკის სცენარისთვის

კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის მაჩვენებელი იზრდება დაახლოებით 30%-მდე. საბაზისო სცენარში, საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 75%-ს 2023 წლისთვის. კომბინირებული ეკონომიკური შოკი იწვევს ამ მაჩვენებლის ზრდას 100%-მდე 2024 წლისთვის.



დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები გეგმავენ მაჩვენებლების გაუმჯობესებას შემდგომი 5 წლისთვის, მათი ვალების ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის (საშუალოდ 70%) მაღალი

მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მათზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკური შოკები. მათი ჯამური ვალის - 7,254 მლნ ლარის უმეტესი წილი დენომინირებულია უცხოურ

ვალუტაში, რაც ნიშნავს, რომ საწარმოები და მათი მფლობელი (სახელმწიფო) ვალუტის გაუფასურების შოკის მიმართ ძალიან მოწყვლადები არიან.

წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს, რომ სავალუტო კურსის რისკი ამ მომენტისთვის არის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური რისკი, რომლის წინაშეც მოცემულ საწარმოთა ჯგუფი დგას. განხილული ექვსივე საწარმო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გაცვლითი კურსის ცვლილებაზე. მოცემული ანალიზი მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის გავლენა ძალიან დიდია საწარმოთა ჯამურ მაჩვენებლებზე: გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების და წმინდა ღირებულების შემცირება დაახლოებით 2,700 მლნ ლარის ფარგლებშია, ხოლო კომპანიების ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი იზრდება 29%-ით. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების უარყოფითი ცვლილება შეადგენს საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 4%-ს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის რეალიზაციის შემთხვევაში გარდა დაგეგმილი საბიუჯეტო შენატანებისა, სახელმწიფოს მოუწევს დაახლოებით 2,700 მლნ ლარამდე შენატანების განხორციელება აღნიშნულ საწარმოებში, რაც დამატებითი ფინანსურ ტვირთად დააწვება სახელმწიფოს.

ანალიზი მიუთითებს, რომ სახელმწიფო საწარმოები გაცვლითი კურსის გაუფასურებისგან განსხვავებით გაცილებით ნაკლებად რეაგირებენ ეკონომიკურ დადმასვლებზე და გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებზე. ასევე, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური დადმასვლა, საპროცენტო განაკვეთის ზრდა კორელირებული და კომბინირებული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს დიდ ნეგატიურ ეფექტებს, როგორც აღწერილია მოცემულ ანალიზში.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პროექტები

2022 წლისთვისაც PPP პროექტების თითქმის 100% (თბილისის აეროპორტის და ანაკლიის პორტის გარდა) მოდის ენერჯეტიკის სექტორზე.

PPP კანონმდებლობა იძლევა ე.წ.

საინიციატივო შეთავაზების (Unsolicited proposal) განხორციელებას მხოლოდ ენერჯეტიკის სექტორში. განუვითარებელი ენერჯეტიკული ბაზრის პირობებში, აღნიშნული ინვესტიციების მოზიდვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. მეორე მხრივ, საინიციატივო შეთავაზების ხელმისაწვდომობა შესაძლოა გავიყვანოთ ინსტიტუციური ფისკალური რისკის

PPA-სგან განსხვავებით CfD ორ-მხრივი მიმართულებით მოიაზრებს ანაზღაურებას. ანუ, თუ ESCO წარმოადგეს მხარეს ინვესტორთან CFD კონტრაქტში, ESCO იღებს შემოსავალს, როდესაც CfD ფასი დაბალია საბაზრო ფასებზე და პირიქით ახორციელებს გადახდებს, როდესაც CfD ფასები საბაზრო ფასებზე მაღალია.

კატეგორიაში, კერძოდ, კონკურენციის არარსებობის გამო კონკრეტული პროექტიდან მომდინარე ფისკალური ხარჯი და რისკი

სავარაუდოდ ყოველთვის უფრო მაღალი იქნება ვიდრე ეს მოხდებოდა კონკურენტულ პირობებში.

პანდემიის შემდგომ, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებიდან (PPA) მომდინარე პირობითი ვალდებულებების ზეწოლა ბიუჯეტზე სულ მცირე განახევრებულია. მხარდაჭერის სხვა სქემების განვითარება, მათ შორის ფასთა სხვაობის ხელშეკრულებები (CFD) დამატებით უზრუნველყოფენ ფისკალური რისკების შემცირების ტენდენციის შენარჩუნებას.

ამასთან, თავად CFD არ წარმოადგენს სრულიად ურისკო ინსტრუმენტს და შესაძლოა გამოიწვიოს მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემები, თუმცა, სწორი დაგეგმვის პირობებში აღნიშნული დაძლევა ბიუჯეტზე ზეწოლის გარეშე. ცნობისთვის, 2023 წლის თებერვლის თვეში გამოცხადდა სიმძლავრის აუქციონი CFD ხელშეკრულებებისთვის შემდეგ კატეგორიებზე:

- ჰიდროელექტროსადგურები - 150 MW
- ქარი - 70 MW
- მზე - 70 MW
- სხვა - 10 MW

აუქციონის შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა ჯამურად 296,7 მეგავატი დადგმული სიმძლავრე ჯამში 914 gwh გენერაციის შესაძლებლობით.

მხარდაჭერის ენერგეტიკული სქემის ფისკალური ხარჯებისა და რისკების შეფასება

მხარდაჭერის ენერგეტიკული სქემიდან წარმოშობილი ფისკალური დანახარჯებისა და რისკების შეფასება მოიცავს საბაზისო სცენარს შემდეგი დაშვებებით:

- მთელი გამომუშავებული ელექტროენერჯია არის ათვისებული;
- საბაზრო ფასები შეფასებულია ელექტროენერჯის მიმდინარე იმპორტის ფასების საშუალო

ესკო როგორც შუამავალი ბაზრის ყველა მოთამაშეს შორის განახორციელებს მხარდაჭერის სქემის ფარგლებში გადახდებს - მათ შორის PPA, CFD, აღნიშნულის განსახორციელებლად ESCO გამოიყენებს ახალ ფონდს, სახელწოდებით საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია, შემდგომში WPSO, როგორც ახალი ენერგეტიკული მხარდაჭერის სქემის ნაწილს. WPSO-ს ფულადი შემოდინება ძირითადად სამ წყაროს მოიცავს: 1) CfD-ის კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოდინება (ანუ უარყოფითი განსხვავება CfD ფასებსა და საბაზრო ფასებს შორის) 2) განსხვავებები ენგურჰესისა და ვარდნილის ჰესების რეგულირებულ და საბაზრო ფასებს შორის; 3) დადებითი სხვაობა საბაზრო ფასსა და უნივერსალური სერვისის პროვაიდერებისთვის რეგულირებულ ფასებს შორის. WPSO-ს გადინება ასევე სამმაგი იქნება პირველი, CfD-ის კონტრაქტებთან დაკავშირებული (ანუ დადებითი განსხვავება CfD-ის ფასებსა და საბაზრო ფასებს შორის). მეორე, ნეგატიური სხვაობა საბაზრო ფასსა და უნივერსალური სერვისის პროვაიდერებისთვის რეგულირებულ ფასებს შორის . და მესამე, ESCO-ს მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებისთვის შეძენილი ელექტროენერჯის ღირებულება.

შეწონილის გათვალისწინებით, დოლარში 2 პროცენტით კორექტირებული;

- პროექტების ჩამონათვალი მოიცავს ყველა არსებულ PPA-ს, მთავრობის 403 დადგენილებით შესაბამისად გაფორმებულ ე.წ. მწვანე ტარიფის პროექტებს და ფასთა სხვაობის აუქციონში გამარჯვებულ პროექტებს. ჩამონათვალში შესულია ნამახვანი და ნენსკრაც.

- მომხმარებელთა მიერ გადახდილი რეგულირებადი ფასი სტაბილური რჩება 2022 წლის მიმდინარე დონეზე;
- ახალ ბაზარზე გამომუშავებული ელექტროენერჯის 20 პროცენტს მოიხმარს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორია;

ამ საბაზისო სცენარის მიხედვით, ენერჯის მხარდაჭერის სქემის ღირებულება იქნება მშპ-ს 2.1% წმინდა დღევანდელი ღირებულებით

(NPV), PPA-ების, FiPs და CfD-ების გათვალისწინებით (ცხრილი 1, პირველი რიგი, პირველი სვეტი). ამ სცენარში, საბოლოო მომხმარებლები⁵ სრულად იხდიან ელექტროენერჯის გამომუშავების სავარაუდო ღირებულებას (მეორე სვეტი),⁶ ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე სახელმწიფო ბიუჯეტზე ან WPSO-ში დაგროვილი სახსრების მოსალოდნელი კონკრეტული გამოყენების გარეშე (მესამე სვეტი).

ცხრილი 1. ენერგეტიკული მხარდაჭერის სქემის ჯამური ხარჯებისა და ფისკალური ზემოქმედების ალტერნატიული სცენარები

	PPAs + CFDs + FiPs + სტრატეგიული პროექტები			
	სქემის მთლიანი ღირებულება (NPV %GDP)	მომხმარებელთა გადახდები (NPV %GDP)	სხვა შემოსავლები / WPSO Fund (NPV %GDP)	გადაეცმა
საბაზისო სცენარი (BS)	2.1%	2.1%	0.0%	100.0%
BS - 10% ენერჯის ფასები (EP)	2.5%	2.5%	0.0%	100.0%
BS - 10% EP + აფხაზეთის მოხმარება 30%	2.5%	2.5%	0.0%	97.1%
BS - 10% EP + აფხაზეთის მოხმარება 40%	2.5%	2.5%	0.2%	88.1%
BS - 20% EP	4.9%	4.8%	0.1%	94.9%
BS - 20% EP + აფხაზეთის მოხმარება 30%	4.9%	4.2%	0.7%	83.6%
BS - 20% EP + აფხაზეთის მოხმარება 40%	4.9%	3.6%	1.3%	70.9%
BS - 30% EP	5.7%	5.0%	0.7%	84.1%
BS - 30% EP აფხაზეთის მოხმარება 30%	5.7%	4.3%	1.4%	72.9%
BS - 30% EP + აფხაზეთის მოხმარება 40%	5.7%	3.7%	2.1%	61.5%

⁵ საბოლოო მომხმარებლებში შედიან: (i) პირდაპირი მომხმარებლები, რომლებიც არიან მსხვილი მომხმარებლები, იხდიან საბაზრო ფასებს; (ii) სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც არიან საშუალო და მცირე მომხმარებლები, იხდიან რეგულირებულ ფასებს და (iii) აფხაზეთის

ტერიტორია, რომელიც გათავისუფლებულია გადახდისგან.

⁶ 1 ცხრილში, ბოლო სვეტში, 100% გადარიცხვა ნიშნავს, რომ ბაზრის ამჟამინდელი სტრუქტურის მიხედვით, საბოლოო მომხმარებლებისგან გადახდები საკმარისია ელექტროენერჯის წარმოების ხარჯების სრულიად დასაფინანსებლად.

მოცემული შეფასების ძირითადი დასკვნებია:

- აუცილებელია მომავალში გენერაციის პროექტების სიფრთხილით შერჩევა, რათა არ მოხდეს დამატებითი გაზრდილი ღირებულებების ფონზე, გენერირების ნაკადების ზრდა იმაზე უფრო ადრე, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.
- CFD აუქციონების პრაქტიკის გაგრძელების შემთხვევაში აუცილებელია ელექტროენერჯის

დერეგულირებული ბაზრისა და WPSO ფონდის სრულად ამოქმედება ბიუჯეტზე შესაძლოა ზეწოლის თავიდან ასაცილებლად.

- უნდა გაგრძელდეს ახალ PPA მემორანდუმებზე მორატორიუმი. საინიციატივო შეთავაზებები უნდა ჩანაცვლდეს კონკურენტული აუქციონებით, CFD აუქციონი წარმოადგენს აღნიშნულის წარმატებულ დასაწყისს;

PPP ვალდებულებების შეფასება

PPP ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 70 197 000 ლარს. აღნიშნული მოიცავს მხოლოდ თბილისის

აეროპორტს, რაც შეეხება ნენსკრას, აქტივის გაუფასურების შედეგად სარკისებურად ჩამოიწერა შესაბამისი ვალდებულებაც.

სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკები

სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავები ფისკალური რისკების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სპეციალიზებული დეპარტამენტის მეშვეობით, წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების გადაწყვეტაში. ამასთან, ადგილობრივ სასამართლოში იუსტიციის სამინისტრო შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ მოპასუხე მხარეს სხვა სამინისტროებსა თუ სააგენტოებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა მოპასუხე მხარე, თითოეულ მათგანს

აკისრია პასუხისმგებლობა საკუთარი პოზიციის სამართლებრივ დაცვაზე. საქართველოში სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავები, ზომის მიხედვით, ძირითადად, წარმოიქმნება ინფრასტრუქტურისა და ენერჯეტიკის სექტორებში და ძირითადად უკავშირდება წარუმატებელ და შეწყვეტილ მასშტაბურ პროექტებსა და კონტრაქტებს (მაგალითად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის წარუმატებელი პროექტი, რომლის აქციონერებმაც საჯაროდ განაცხადეს სახელმწიფოსგან კომპენსაციის მოთხოვნის განზრახვის თაობაზე), ხშირად დავის საგანს წარმოადგენს საჯარო საინვესტიციო პროექტებისთვის, ძირითადად, გზების პროექტებისთვის ექსპროპრირებული მიწები.

ასევე, დავები უკავშირდება სხვადასხვა სექტორის კომპანიების უცხოელი ინვესტორების სარჩელს მათი უფლებების არასათანადოდ დაცვის შესახებ, აგრეთვე, აღსანიშნავია უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორების დავები, რომლებიც დაკავშირებულია ლიცენზიებისა და ნებართვებზე უარის თქმასთან ან იმ პროექტების გაუქმებასთან, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მოპოვებული ნებართვები და ლიცენზიები.

გარდა მასშტაბური დავებისა, საკმაოდ დიდია იმ სასამართლო დავების რაოდენობა, სადაც შედარებით მცირეა დავის თანხის ოდენობა. ასეთია, ძირითადად, საჯარო უწყებებიდან გათავისუფლებული თანამშრომლების შრომითი დავები.

ფისკალური რისკების შეფასების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილავს აღნიშნულ სასამართლო დავებს. პირველ რიგში, იმ სასამართლო დავებს, სადაც დავის თანხის ოდენობა აღემატება 5 მილიონ ლარს.

მოსალოდნელია, რომ უმეტეს შემთხვევაში სასამართლო დავა სრულდება სახელმწიფოს გამარჯვებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში, ან სააპელაციო ან საკასაციო დონეზე, ანდა სახელმწიფოს უწყეს მოთხოვნაზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდა. რიგ შემთხვევაში მოთხოვნილი თანხები, ან სასარჩელო მოთხოვნის გარკვეული ნაწილი, როგორც უმნიშვნელო და დაუსაბუთებელი, განუხილველი რჩება სასამართლოების მიერ.

მომავალში შესაძლოა სტატისტიკურად გაანალიზდეს აღნიშნული შემთხვევები, რასაც დასჭირდება სოლიდური მონაცემთა ბაზის შექმნა დავების შესახებ საკმარის ინფორმაციასთან ერთად. როგორც

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ამ მიზნის მიღწევა უფრო მარტივია თანხობრივად დიდი ოდენობის მცირე რაოდენობის საქმეების ანალიზის დაწყებით. მასშტაბურ საქმეებთან დაკავშირებული საერთო მახასიათებლების და ტენდენციების პროგნოზირება რთულია, ზოგჯერ ასეთი დავები წყდება სასამართლოს გარეშე მორიგების გზით.

საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების გამოკლებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოახდინა 32 მსხვილი სასამართლო დავის იდენტიფიცირება, რომელთა დიდი ნაწილის დავის თანხა გამოსახულია უცხოურ ვალუტაში (ანალიზის მიზნებისთვის გამოყენებულია გაცვლითი კურსი: 1USD = 2.71GEL). მოთხოვნილი თანხის მთლიანი ოდენობა შეადგენს დაახლოებით 1416 მილიონ ლარს (1 სარჩელის ჩათვლით, რომლითაც მოთხოვნილია 1 მილიარდი ლარი) და 1144 მილიონ აშშ დოლარს (1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სარჩელის ჩათვლით), რაც არის 3 100 მილიონი ლარის ექვივალენტი, ანუ ჯამში 4 516 მილიონი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ასევე მოახდინა 49 სასამართლო დავის იდენტიფიკაცია, სადაც დავის თანხის ოდენობა მერყეობს 1-5 მლნ ლარს შორის (თანხის მთლიანი ოდენობა 70.5 მილიონ ლარამდეა, რომელსაც ემატება 12.64 მილიონი აშშ დოლარი), ასევე, გამოავლინა 58 დავა, სადაც სადავო თანხის ოდენობა 0.5 მილიონი ლარიდან 1 მილიონ ლარამდეა (თანხის მთლიანი ოდენობა 39.5 მილიონ ლარამდეა, რომელსაც ემატება 3.1 მილიონი აშშ დოლარი). დავები, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია სადავო ექსპროპრიაციასთან, სამედიცინო და ფარმაცევტულ ინდუსტრიაში სადავო მარეგულირებელ ქმედებებთან და შესყიდვის ხელშეკრულებების აღსრულებასთან.

ადგილობრივ სასამართლოში მიმდინარე, ამ ეტაპზე იდენტიფიცირებული აღნიშნული დავების (მოსამიებელია ზოგიერთი უწყების, ასევე, მცირე მასშტაბის დავები, თუმცა

იდენტიფიცირება უკვე გაუმჯობესებულია, ვინაიდან 2023 წელს დაფიქსირებული დავების რაოდენობის ზრდა უმეტესწილად განპირობებულია წინა პერიოდში გამოუვლენელი დავებით, ვიდრე ახალი დავებით) სადავო თანხის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 4 669 მილიონ ლარს, რაც 2022 წლის მშპ-ს (71,8 მლრდ ლარი) 7%-მდეა. ძირითადი თანხის გარდა ყოველთვიურად გადასახდელი მოთხოვნილი თანხები არ არის გათვალისწინებული მოცემულ კალკულაციაში მათი ცვალებადი ბუნების გამო.

რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟს, საყურადღებოა, რომ დავების ფარგლებში, განსაკუთრებით იმ დავების, რომლებიც მასშტაბურია დავის თანხის თვალსაზრისით და უკავშირდებიან მსხვილ პროექტებს, გათვალისწინებულია კონფიდენციალურობის ვალდებულებები მხარეებისთვის სპეციალიზებული სასამართლოების მიერ, როგორებიცაა - საინვესტიციო დავების განმხილველი საერთაშორისო ცენტრი (ICSID) ან საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (ICC). ამასთან, ძალიან ხშირად შეთანხმება მიიღწევა ისეთ თანხაზე, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია თავდაპირველ მოთხოვნასთან შედარებით. ასევე, სახელმწიფომ შესაძლოა მოამზადოს შემხვედრი სარჩელი და მოიპოვოს გამარჯვება შესაბამისი კომპენსაციით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის ივლისის მდგომარეობით საერთაშორისო არბიტრაჟებში 11 მიმდინარე, მათ შორის, 3 გასაჩივრებული დავის ფარგლებში სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა შეადგენს დაახლოებით 3.3 მლრდ აშშ დოლარს (8.94 მლრდ ლარს), რაც 2022 წლის მშპ-ს 12%-ს შეადგენს და საიდანაჯ მნიშვნელოვანი წილი მოდის ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებულ დავაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, იმ შემთხვევაშიც თუ ასანაზღაურებელი დავის თანხის მოცულობა არის მოთხოვნილზე ბევრად ნაკლები, მსხვილი და მასშტაბური სასამართლო დავის წაგება წარმოადგენს შემთხვევას, რომელიც არ შეიძლება დარჩეს ყურადღების მიღმა. რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული დასრულებული დავების სტატისტიკას (4 დავა), 2 დავა დასრულდა სახელმწიფოს გამარჯვებით, 1 დავა - სახელმწიფოს ნაწილობრივი გამარჯვებით (თითოეულ მხარეს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა), 1 დავა დასრულდა მოსარჩელის გამარჯვებით.

საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად გამოყოფს ასიგნებებს შესაძლო წაგებული საქმეებისთვის. გასულ წლებში წაგებული გადახდილი ფაქტობრივი თანხის ოდენობა იყო არაარსებითი, მეორე მხრივ, ეს სტატისტიკა არ წარმოადგენს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შემდგომ წლებში ამ მიმართულებით ხარჯები ასეთივე არარსებითი იქნება.

ცხრილი 1-ში მოცემულია საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლიდან დავების ფარგლებში გადახდილი თანხები (მლნ. ლარი)

ცხრილი 1

2019	2020	2021	2022	09/2023
3.67	3.45	4.98	6.61	7.38

მოსალოდნელია სასამართლო დავებზე ფაქტობრივად გადახდილი თანხების ზრდადი ტენდენციის შენარჩუნება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო პროპორციულად უფრო მეტ საქმეს აგებს ვიდრე მანამდე. ასეთი ტენდენცია შეინიშნება სხვა ქვეყნებშიც, თუ გავითვალისწინებთ სპეციალიზირებული

იურიდიული კომპანიების რაოდენობის ზრდას (მოქალაქეთა მზარდი რაოდენობა მიმართავს სასამართლოს დავების განსახილველად) და ამ დრომდე აკუმულირებული მსხვილი დავების რაოდენობას.

სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფისკალური რისკები

სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეულმა ფისკალურმა რისკებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ისეთ მაკრო და ფისკალურ პარამეტრებზე, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები, დეფიციტის დაფინანსება. მათ გავლენა შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო საწარმოებზე, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან (PPP) მომდინარე ვალდებულებებზე (განსაკუთრებით ენერჯეტიკის სექტორში) და ა.შ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ რისკების შეფასება და გასაჯაროება სახელმწიფოს სხვა პირობით ვალდებულებებთან ერთობლიობაში.

კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეულ ფისკალურ რისკებს განსხვავებული ბუნება გააჩნია. კლიმატის ცვლილება ხდება თანდათან და შესაბამისად, შედეგებიც არ დგება მყისიერად. თუმცა, მნიშვნელოვანია ასევე გავითვალისწინოთ მათი მოსალოდნელი შედეგები, რომლებმაც მაგალითად შეიძლება იყოს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების გახშირება და გაძლიერება.

სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ფისკალური რისკები საქართველოში

საქართველო მნიშვნელოვნად დაზარალდა წყალდიდობებითა და მიწისძვრებით. 2015

წელს თბილისში მომხდარმა წყალდიდობამ⁷ სხვადასხვა ფორმით ათასობით მოქალაქეზე იქონია გავლენა. გარდა ამისა, წყალდიდობას 55 მილიონი ლარის ღირებულების ფიზიკური ზიანი და 10 მილიონი ლარის ფინანსური ზარალი მოჰყვა, რაც უახლეს ისტორიაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია. სრული აღდგენის ხარჯებმა კი, გაეროს და მსოფლიო ბანკის შეფასებით, 300 მლნ ლარს გადააჭარბა. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ყველაზე დიდი მიწისძვრა მოხდა თბილისში 2002 წელს, რომლის ზარალი 703 მილიონ ლარამდე⁸ შეფასებული. 2023 წელს რაჭაში, შოვეში მომხდარმა ტრაგედიამ ათეულობით ადამიანი იმსხვერპლა.

წყალდიდობებისა და მიწისძვრების რისკების პერსპექტიული შეფასებები გვიჩვენებს, რომ მომავალში ამ ტიპის მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს. მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებისა და გლობალური მიწისძვრების მოდელის მეშვეობით შემუშავებული სცენარები გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი ზიანი შეიძლება მნიშვნელოვნად აღემატებოდეს ისტორიულ, ფაქტობრივ მაჩვენებლებს.

საქართველოს მთავრობის პირობითი ვალდებულებები მოიცავს კლიმატის ცვლილებისა და სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსების შესაძლოა საჭიროებებს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მყისიერი რეაგირება, კრიტიკული საჯარო სერვისებისა და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის აღდგენა, ასევე დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრისით უზრუნველყოფა/აღდგენა.

როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მსგავსი ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში მხოლოდ უმნიშვნელოდ იყო

წარმოდგენილი, კლიმატის ცვლილების შედეგების გათვალისწინებით, მოსალოდნელია სტიქიური მოვლენების ფისკალური რისკების მნიშვნელოვანი ზრდა.

ამჟამად სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებები ძირითადად ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და სამინისტროებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით. სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებული წყაროები, ხშირ შემთხვევებში, არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის განვითარების წახალისების მიზნით, შემოიღო სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროგრამა, რომლის მიხედვითაც მთავრობა ახდენს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების და მოსავლის დაზღვევის თანადაფინანსებას ისეთი სტიქიური მოვლენების რისკის წინააღმდეგ, როგორცაა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ყინვები.

მთლიანობაში, სტიქიური მოვლენების რისკების დაზღვევის სრულყოფილი მექანიზმების და სისტემური მიდგომების დანერგვის მიზნით, განიხილება სტიქიური მოვლენების რისკების დაფინანსების მექანიზმების შემუშავება, განისაზღვრება ის ღონისძიებები, რომელთა გატარება არის აუცილებელი სტიქიური მოვლენებით გამოწვეული რისკების მდგრადი ფინანსური მართვისთვის, როგორცაა ex-ante და ex-post ინსტრუმენტების შემოღება-გამდიერება, მათ შორის დაზღვევის ინსტრუმენტის უფრო ინტესიური გამოყენებით.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფისკალური რისკები საქართველოში

კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მსოფლიოს, ან საქართველოს ერთ ან რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის მშპ-ს ზრდაზე. საქართველოს ძირითად პარტნიორ

⁷ Disaster Risk Finance Country Note: Georgia 2017, World Bank.

⁸ https://www.preventionweb.net/files/54533_drrstrate_gy2017annex1eng.pdf

ქვეყნებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მნიშვნელოვანმა სტიქიურმა მოვლენებმა შეიძლება საქართველოზე იქონიოს პირდაპირი ეკონომიკური გავლენა. გავლენა შეიძლება გამოიხატოს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შემცირებაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი ტრანსფერების შემცირებაში და სხვ. ზემოაღნიშნულმა, თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში მიწოდების ჯაჭვების დარღვევა, სავალუტო კურსის მერყეობა, მშპ-ს ზრდის ტემპის შენელება და სხვა შედეგები. აღნიშნულის უახლეს მაგალითს წარმოადგენს თურქეთში, 2023 წლის თებერვალში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრა, რამაც გარკვეულწილად ირიბი ეკონომიკური გავლენა მოახდინა საქართველოზეც, საქართველოში იმპორტის შეფერხებისა და საიმპორტო ფასების მატების კუთხით.

საქართველოში კლიმატის ცვლილების შედეგები ძირითადად ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით

სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება

2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ მთლიანობაში გამოიყო 47 მლნ ლარი. დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდა ოზურგეთის, ლაგოდეხის, ონის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც ძირითადად წყალდიდობების შედეგად დაზარალდნენ.

2017-2022 წლებში მუნიციპალიტეტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური რესურსების გარდა, მუნიციპალური ბიუჯეტებიდან წელიწადში საშუალოდ 19 მლნ ლარს ხარჯავდნენ სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ.

მიუხედავად იმისა, რომ სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ფისკალური შედეგების შესახებ მონაცემები პერიოდულად მუშავდება, 2022 წელს საქართველოს ფინანსთა

გამოიხატება, როგორცაა: წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, ქარიშხალი, გვალვა და ხანძრები.

აღსანიშნავია, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს პირველადი დასკვნის⁹ მიხედვით, 2023 წლის 3 აგვისტოს შოვის ღვარცოფი გამოწვეულია ბუბას და თბილისას მცინვარების დნობის მრავალწლიანი პროცესით, რაც კლიმატის ცვლილებასთან არის დაკავშირებული.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა გახშირებულმა და ძლიერმა სტიქიურმა მოვლენებმა შეიძლება არა მხოლოდ დიდი ფისკალური გავლენა იქონიოს გაზრდილი სამთავრობო ხარჯების სახით, არამედ შესაძლოა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენოს კერძო სექტორსაც. ასე მაგალითად, 2020 წელს ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის შემცირებული გამომუშავება წყლის რესურსების ნაკლებობით იყო გამოწვეული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია PPP/PPA პროექტებში სამომავლოდ ამ სახის რისკების სათანადო შეფასება.

სამინისტრომ დაიწყო მუშაობა სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანის ერთიანი მონაცემთა ბაზის შემუშავების მიზნით. აღნიშნული მონაცემთა ბაზა გამოყენებული იქნება არა მხოლოდ საჯარო სექტორისთვის, არამედ ასევე კერძო სექტორზე (მ.შ. შინამეურნეობები, ბიზნესი) მიყენებული ზიანის სრულად აღრიცხვის მიზნით. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს რისკების სწორ მოდელირებასა და შედეგების უფრო ზუსტ პროგნოზირებას.

⁹ <https://nea.gov.ge/Ge/News/1178?fbclid=IwAR0wSfz>

[NwmuhqfzL541fFRd7KVSHefnMCughlkkJV_AMckt36BqjnYfA9sY](https://nea.gov.ge/Ge/News/1178?fbclid=IwAR0wSfz)

მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯები 2017-2022	მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ ჯამური ხარჯები (ლარი)
ლანჩხუთი	18 506 598
თბილისი	14 359 120
ქობულეთი	11 549 251
ხელვაჩაური	10 304 392
საჩხერე	7 350 390

გრძელვადიანი ფისკალური რისკების ანალიზი

შესავალი

მიმდინარე პოლიტიკის სამომავლო შედეგების და ხარჯების რაოდენობრივი განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ეფექტიანად იყოს მართული და თავიდან იქნას აცილებული გრძელვადიანი პერიოდის რისკები და ამ რისკებიდან მომდინარე საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანი ფისკალური არასტაბილურობის წყარო შეიძლება გახდეს. აღნიშნული საკითხი საქართველოს კონტექსტში ყურადსაღებია ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. სახელმწიფო ვალი და ფისკალური დეფიციტი. სახელმწიფო ვალის დინამიკის სამომავლო

ტრექტორიის განსაზღვრა, სავარაუდოდ, დაგვეხმარება არამდგრადი ფისკალური პოლიტიკების იდენტიფიცირებასა და იმის დადგენაში, არის თუ არა ფისკალური ჩარჩოთი განსაზღვრული ფისკალური წესების დარღვევის საფრთხე.

2. დემოგრაფია და სოციალური პოლიტიკა. საქართველოში ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად მიმდინარებს ე.წ მოსახლეობის დაბერების (aging) პროცესი, როდესაც მთლიან პოპულაციაში ასაკოვანი მოსახლეობის წილი თანდათანობით იმატებს, რაც რამდენიმე მომდევნო ათწლეულის განმავლობაში შექმნის

მნიშვნელოვან ზეწოლას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯანდაცვის მიმართულებითა და პენსიებზე გაწეული ხარჯები.

3. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფისკალური რისკები. კლიმატის ცვლილება იწვევს ამინდისა და ეკოსისტემების შეცვლას, რასაც თავის მხრივ გავლენა აქვს ფისკალურ პარამეტრებზეც და ამან შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გადახრა საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზებიდან. ეს შეიძლება გულისხმობდეს როგორც ნელ-ნელა პროგრესირებად რისკებს, როგორცაა მზარდი საშუალო ტემპერატურის სტაბილური მატების ეფექტები, რაც ამცირებს პროდუქტიულობასა და, აქედან გამომდინარე ბიუჯეტის შემოსავალს, ასევე, მოულოდნელი სტიქიური მოვლენებიდან წარმოშობილ რისკებს, რომლებსაც აქვთ დაუყოვნებლივი ეფექტი ბიუჯეტის პარამეტრებზე და ზრდის გაურკვევლობასთან დაკავშირებულ რისკებს. გარდა ამისა კლიმატის ცვლილებებიდან მომდინარე საფრთხე შეიძლება მოიცავდეს ორივე ტიპის რისკის კომბინაციასაც. აღსანიშნავია რომ,

შესაძლოა არსებითი აღმოჩნდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ხარჯებიც, რომლებიც სახელმწიფო დონეზე განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში შეიძლება განიხილებოდეს. მართალია, მოკლევადიან პერიოდში ეს ხარჯები სავარაუდოა მნიშვნელოვან ტვირთად დააწვეს სახელმწიფო ფინანსებს, თუმცა მათ შესაძლოა შეამსუბუქონ კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი ეფექტები.

4. ეკონომიკური ზრდა და ბიუჯეტის შემოსავალი. სხვა ფაქტორებთან ერთად საქართველოს საგადასახადო ბაზის შემცირება შესაძლოა მოხდეს, როგორც მოსახლეობის დაბერების, ისე კლიმატის ცვლილების შედეგად ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების გამო. და პირიქით, საგადასახადო რეფორმას, ისევე როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას - მაგალითად, საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება — შესაძლოა ჰქონდეთ ფისკალური სარგებელი, რომელიც შედარებით მცირეა


მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადობის თვალსაზრისით გრძელვადიან პერიოდთან მიმართებაში.

შეფასების მიხედვით¹⁰, სხვა თანაბარ პირობებში საქართველოს ფისკალური ინდიკატორები უარესდება მიმდინარე საუკუნის შუა პერიოდში, ხოლო ვალის მონაცემი 2073 წლისათვის უმრავლესი სცენარების ფარგლებში არღვევს ვალის მშპ-სთან ფარდობის ფისკალური წესის 60 პროცენტთან ზღვარს (გრაფიკი 1).


ფინანსთა სამინისტროს მიერ, სხვადასხვა დაშვებების (იხილეთ დანართი 3) საფუძველზე გაკეთებული გრძელვადიანი

დიაგრამა I. გრძელვადიანი ფისკალური ინდიკატორები (2023 წელი შედარებულია 2073 წელთან სხვადასხვა სცენარის მიხედვით)

პირველადი ბალანსი (მშპ-ს პროცენტი)



ვალის მშპ-სთან შეფარდება (პროცენტი)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო. საბაზისო სცენარი განიხილავს გაეროს საშუალო შობადობის მოსახლეობის პროგნოზს და ცხადად არ ითვალისწინებს კლიმატის ცვლილებას. ორ სხვა დემოგრაფიულ სცენარში გამოყენებულია გაეროს მოსახლეობის პროგნოზები დაბალი და მაღალი შობადობის სცენარებისათვის. კლიმატის ცვლილების თითოეული სცენარი დეტალურად არის განმარტებული ქვემოთ, ამავე თავში (იხილეთ ჩარჩო 1).

ფისკალური რისკების სცენარების ეს ნაწილი შეეხება ორ გრძელვადიან ფისკალურ რისკს:

- (i) დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები
 - ა. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები, მათი ზეგავლენა ფისკალურ დეფიციტსა და ვალზე
 - ბ. შესაძლო შედეგები პენსიებთან და შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით¹¹.

- (ii) კლიმატის ცვლილება და სტიქიური მოვლენები
 - ა. კლიმატის ცვლილების სცენარები გრძელვადიან ფისკალურ მდგრადობასთან მიმართებაში
 - ბ. კლიმატის ცვლილებით განპირობებული სპეციფიკური ფისკალური რისკები

¹⁰ შეფასების ჰორიზონტია 50 წელი და მოიცავს 2024-2073 წლებს


¹¹ აღნიშნული საკითხები უფრო დაწვრილებით იქნება განხილული შემდეგ დოკუმენტებში

დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები

დემოგრაფიული ცვლილებები

საქართველოში უკვე სახეზეა მოსახლეობის მკვეთრი დაბერების მზარდი ტენდენცია (დიაგრამა 2). ამჟამად, ოთხ სამუშაო ასაკის პირზე ერთი ასაკოვანი პირი მოდის. 2073 წლისათვის უკვე შესაძლოა ორ ან სამ სამუშაო ასაკის პირზე ერთი პენსიონერი მოდიოდეს.

გრაფიკი 2 დემოგრაფიული სცენარები საქართველოში, 1950-2100



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2022; ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები. ასაკოვანი პირების დამოკიდებულების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: ასაკოვანი პირების (65 წლის და ზევით) რაოდენობა გაყოფილი სამუშაო ასაკის (15-64 წლის) მოსახლეობის რაოდენობაზე.

ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები

მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, პროპორციულად იზრდება ჯანდაცვის ხარჯებიც. უფროსი ასაკის მოსახლეობაზე ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობასთან შედარებით მოდის ქრონიკული დაავადებების უფრო მაღალი წილი, შესაბამისად, ისინი არიან პირველადი უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის მთავარი მომხმარებლები, რომელშიც შედის უფასო ამბულატორიული

მომსახურება და დიაგნოსტიკური კვლევები.


გრძელვადიან პერიოდში დაბერების გამო საბიუჯეტო ხარჯებზე ზეწოლისა და შენელებული ეკონომიკური ზრდის კომბინაცია გაართულებს საქართველოს მიერ გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პროცესს (გრაფიკი 3). მომდევნო 50 წლის განმავლობაში მოსალოდნელია ჯანდაცვის ხარჯის ზრდა მშპ-ს 0.25%-დან 0.75%-მდე ინტერვალით მაშინ, როცა ზემოაღნიშნული ხარჯის ზრდა ყველაზე მეტად შესამჩნევია დაბალი შობადობის

სცენარში. ჯანდაცვის ხარჯი იმატებს შობადობის სამივე (საშუალო, მაღალ და დაბალ) სცენარში. ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯი იწვევს უფრო მაღალ დეფიციტს და ვალს. ამის გარდა, მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მშპ შედარებით მცირე იქნება დაბალი შობადობის სცენარში დანარჩენ ორ სცენართან შედარებით. შემცირდება საგადასახადო შემოსავლები, გაიზრდება დეფიციტი და მოიმატებს ვალის მშპ-სთან


შეფარდება. 2073 წელს დაბალი შობადობის სცენარში ვალის მშპ-სთან შეფარდება 17 პროცენტული პუნქტით მეტი იქნება საბაზისო სცენართან შედარებით. 2060-იანი წლებისათვის როგორც საბაზისო, ისე დაბალი შობადობის სცენარებში, სახელმწიფო ვალი გადააჭარბებს მშპ-ს ფისკალური წესით განსაზღვრულ 60 პროცენტს და არამდგრად აღმავალ ტრაექტორიას წარმოშობს.

გრაფიკი 3. დემოგრაფიის ეფექტები საჯარო ფინანსებზე, 2013-2073

ჯანდაცვის ხარჯი (მშპ-ს პროცენტი)



ვალის მშპ-სთან შეფარდება (პროცენტი)



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2022; ფინანსთა სამინისტროს კალკულაციები.

მოსახლეობის დაბერებას შესაძლოა დამატებითი ეფექტები ჰქონდეს გრძელვადიან ფისკალურ მდგრადობაზე. მაგალითად, გადასახადების ამოღება შესაძლოა განსხვავდებოდეს მომუშავეთა ასაკის მიხედვით. შედარებით ასაკოვანმა მომუშავეებმა შესაძლოა ნაკლები გადასახადი გადაიხადონ ინდივიდუალურად, რადგან შესაძლოა მათ შეამცირონ სამუშაო დატვირთვა ან/და საერთოდაც პენსიაზე გავიდნენ. გარდა ამისა, მომდევნო 50 წლის განმავლობაში საპენსიო ხარჯი შესაძლოა განსხვავდებოდეს შობადობის სცენარის

მიხედვით, რადგან სხვადასხვა წლების განმავლობაში შეიცვლება განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფებში განაწილებული ადამიანების ფარდობები, რომელებიც სხვადასხვანაირ ფისკალურ წნეხს წარმოშობენ.

რისკის შემსუბუქების ღონისძიებები

პოტენციური გრძელვადიანი ფისკალური რისკები შესაძლოა შემსუბუქდეს საშუალოვადიანი შემოსავლების

სტრატეგიითა და პროდუქტიულობის ზრდაზე ორიენტირებული ხარჯვითი პოლიტიკების შედეგად. მომდევნო წლებში მუდმივად განახლება, გაფართოვდება და დაიხვეწება ამჟამინდელი ანალიზი და რაოდენობრივი შეფასებები. ფინანსთა სამინისტროში იქმნება საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგია (MTRS), რომელიც ასევე მუდმივად დაიხვეწება და განახლება. იგი განიხილავს საგადასახადო დანახარჯების გადახედვისა და მოწესრიგების, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების, საგადასახადო სისტემის მოდერნიზებასა და მსგავს საკითხებს, რომლებიც შემდგომ გაზრდიან ფისკალურ ეფექტიანობას და შეარბილებენ გრძელვადიან პერიოდში წარმოშობილ გამოწვევებს. ფისკალური რისკების შემსუბუქებას შესაძლოა ასევე შეუწყოს ხელი პროდუქტიულობის ზრდის რეფორმებმა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით.

კლიმატის ცვლილებასთან ასოცირებული რისკები

კლიმატის ცვლილების ეფექტები საქართველოში საშუალო ტემპერატურა იზრდება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან და მისი ზრდა ნავარაუდევია გლობალურ საშუალო მონაცემზე მეტად ოცდამეერთე საუკუნის დასასრულისათვის.¹² ზემოხსენებულის

შედეგად, კლიმატის ცვლილების ყველაზე არასასურველ ეფექტებად მოიაზრება გვალვა, წყალდიდობა და მეწყერი. კლიმატის ცვლილების რისკები გავლენას მოახდენს საქართველოს მთლიან ეკონომიკაზე, განსაკუთრებით მოწყვლადი იქნება ენერგეტიკის სექტორი, რადგან ელექტროენერჯის ადგილობრივი გენერაცია მეტწილად მოდის ჰიდრო ენერჯიაზე (დაახლოებით 80%-მდე).

კლიმატის ცვლილების სცენარები და გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობა

საქართველოში ფისკალური რისკების შესაფასებლად კლიმატის ოთხი სხვადასხვა სცენარი გამოიყენება (ჩარჩო 1). ეს სცენარები ეფუძნება მთავრობათაშორის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ კლიმატის ცვლილების შეფასების უახლეს ანგარიშს (IPCC 2021). ემისიების თითოეული სცენარი დამყარებულია ხუთი სტანდარტიზირებული სოციო-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკის შესაძლო განვითარებიდან (სახელად სოციო-ეკონომიკური გზა, Socio-Economic Pathway) ერთ-ერთზე:

¹² კლიმატის რისკის ქვეყნის პროფილი (2021). მსოფლიო ბანკის ჯგუფი, აზიის განვითარების ბანკი.

ჩარჩო 1: კლიმატის სცენარები


- **პარიზი:** SSP1-2.6 IPCC სცენარის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც 2015 წლის პარიზის სამიტზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები სრულდება, გლობალური ტემპერატურის მატება საუკუნის ბოლოს ნარჩუნდება წინა-სამრეწველო დონეზე (2° (გრადუს) ცელსიუსზე დაბალი) მაღლა.
- **ზომიერი:** SSP2-4.5 IPCC სცენარის საფუძველზე, ემისია კვლავ იზრდება არსებული ტენდენციების შენარჩუნების ფონზე და სტაბილიზირდება საუკუნის დასასრულს. ამ სცენარის მიხედვით, კლიმატის შემსუბუქების პოლიტიკები კვლავ მოქმედებს არსებული ტენდენციის პარალელურად, მაგრამ ქვეყნები არ ახორციელებენ უფრო აგრესიულ ქმედებებს პარიზის სამიტზე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.
- **მაღალი:** SSP3-7.0 IPCC სცენარის საფუძველზე კლიმატის შემსუბუქების ღონისძიებების გაძლიერების ნაცვლად, ქვეყნები იწყებენ მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკების მასშტაბების შემცირებას შეზღუდული ენერგოეფექტიანობის გაზრდის და წიაღისეული საწვავის სტაბილური გამოყენების ფონზე.
- **ცხელი (მწვავე):** ამ სცენარში ემისია მაღალი სცენარის მსგავსადაა წარმოდგენილი, თუმცა ამ შემთხვევაში ყველა იმ კლიმატის მოდელს შორის, რომელშიც SSP3-7.0 ემისია გამოყენებული, ტემპერატურის 90% გამოიყენება, ნაცვლად მაღალი სცენარისთვის გამოყენებული საშუალო ტემპერატურის პროგნოზისა.

საჯარო ფინანსები გაუარესდება კლიმატის ცვლილების სცენარების სიმბიზის ზრდის პარალელურად (გრაფიკი 4). გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატის ცვლილება შეანელებს პროდუქტიულობის ზრდას უფრო მკაცრ სცენარებში, შეამცირებს საგადასახადო შემოსავლებს და გაზრდის დეფიციტსა და ვალს. მაგალითად, 2073 წელს ცხელ (მწვავე) სცენარში ვალის მშპ-სთან შეფარდების კოეფიციენტი 13 პროცენტით მეტია საბაზისო


სცენართან შედარებით. 2073 წლისათვის კლიმატის ყველა სცენარში, სახელმწიფო ვალი მშპ-ს ფისკალური წესის 60%-იან ზღვრულ ოდენობას აღემატება და უფრო მკაცრი სცენარების პირობებში საკმაოდ არამდგრად აღმავალ ტრაექტორიას წარმოშობს. ცხელი (მწვავე) სცენარის პირობებში ნავარაუდევია, რომ 2073 წელს ბიუჯეტის დეფიციტი საბაზისო სცენართან შედარებით მშპ-ს 1%-ული პუნქტით გაუარესდება.

გრაფიკი 4. საქართველოში კლიმატის ცვლილების სცენარების ფისკალური ეფექტები

პირველადი ბალანსი და მთლიანი სალდო, მშპ-ს პროცენტი, 2073



ვალის მშპ-სთან შეფარდება, 2013-73



Sources: QCRAFT (2022)

წყარო: ფინანსთა სამინისტროს კალკულაციები.

კლიმატის ცვლილებიდან წარმოშობილი სპეციფიკური ფისკალური რისკები

კლიმატის ცვლილება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯებსა და შემოსავლებზე მრავალი მიმართულებით, მთავრობის როგორც ცენტრალურ, ისე - ადგილობრივ დონეებზე. კლიმატის რისკებს შესაძლოა ჰქონდეს პირდაპირი ზეგავლენა, მაგალითად, სტიქიური მოვლენა რადიკალურად ცვლის ეკონომიკურ პროდუქტიულობას, რაც იწვევს ბიუჯეტის შემოსავლის შემცირებას. ასეთ რისკებს ასევე შესაძლოა ჰქონდეთ არაპირდაპირი ზეგავლენაც, მაგალითად, სოფლის მეურნეობისათვის გაცემული გარანტიის (შესაძლოა არსებობდეს დაზღვევის ფორმით) რეალიზებას (ცხადი ვალდებულება) ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოს პრობლემები (არაცხადი ვალდებულება),

რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალონ ხარჯების სტრუქტურა. ცხრილში 1 მოცემულია კლიმატის ცვლილების ფისკალური რისკების გამო ფისკალური შედეგების პროგნოზირებული მაჩვენებლებიდან გადახრის სხვადასხვა მაგალითები. ამ უკანასკნელის საფუძველზე შესაძლებელია შემდგომი ანალიზის ჩატარება.

ცხრილი 1: კლიმატის ცვლილებიდან წარმოშობილი ფისკალური რისკები

რისკის ტიპი	ფისკალური ზეგავლენის აღწერა
ბიუჯეტთან დაკავშირებული რისკები	უფრო ხშირი და მკაცრი სტიქიური მოვლენები განაპირობებს მეტ სახელმწიფო დანახარჯებს დაზიანებული ინფრასტრუქტურის ჩანაცვლებისა და დაზარალებული ოჯახებისათვის სოციალური ტრანსფერების უზრუნველსაყოფად. ცხადი პირობითი ვალდებულებების მატერიალიზაციაა, მაგალითად, სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფილი სადაზღვევო სქემები.
სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული რისკები	უარყოფითი ზეგავლენა ძირითადი ჰიდრო ენერგეტიკული კომპანიების საბალანსო უწყისებზე, უფრო ხარჯიანი ენერჯის ფორმებზე (თერმული) დამოკიდებულების ფონზე. ამან შესაძლოა დააზიანოს აქტივები, გაზარდოს ექსპლუატაციის ხარჯები და მოითხოვოს კაპიტალში შენატანების განხორციელება მთავრობის მხრიდან.
ეკონომიკური რისკები	ზეგავლენა ეკონომიკურ მწარმოებლურობასა და პროდუქტიულობაზე. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შემცირება, მიწის მწირი რესურსები და პროდუქტიული კაპიტალიდან რესურსების გადატანა ადაპტაციისათვის განსახორციელებელ ინვესტიციაში.
ტრანზიციასთან დაკავშირებული რისკები	ნაცრისფერიდან მწვანე ენერჯიაზე გადასვლა, ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტაციის ხარჯები, სამართლებრივი და პასუხისმგებლობის რისკები.

რისკის შემსუბუქების ღონისძიებები მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამს კლიმატთან დაკავშირებული რისკების სამართავად სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ჩარჩოში კლიმატის ცვლილების ინტეგრირების გზით. განხორციელდა კლიმატის სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ეფექტიანობის შეფასება (PIMA) და დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ძირითადი რეკომენდაციების შესასრულებლად, მათ შორის:

- უზრუნველყოფა იმისა, რომ კლიმატის ეროვნული სტრატეგიები და ამოცანები სრულად ინტეგრირებული იყოს ეროვნული, დარგობრივი და სივრცითი დაგეგმარების პროცესებში.
- კლიმატთან დაკავშირებული კრიტერიუმების ძირითად საკითხად ჩართვა პროექტის შეფასებისა და პროექტის შერჩევის პროცესებში და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ხსენებული კრიტერიუმების გამოყენებისათვის.
- კლიმატთან დაკავშირებული პროექტების იდენტიფიცირება და ანგარიშგება, რესურსების

განაწილება ბიუჯეტის, აღრიცხვისა და აქტივების მართვის სისტემებში კლიმატის კომპონენტის გამოყოფის გზით.

საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგიამ, პროდუქტიულობის ხელშეწყობის რეფორმებმა, და კლიმატის ცვლილების შემსუბუქებისა და ადაპტაციის ღონისძიებებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ფისკალური ზეწოლის შემსუბუქებას. საშუალო-ვადიანი შემოსავლების სტრატეგია უნდა შეეხოს კლიმატის ცვლილებით განპირობებული ეკონომიკური სტრუქტურული ცვლილებების შედეგად არსებული საგადასახადო ბაზის პოტენციურ შემცირებას. რაც შეეხება ხარჯების ნაწილს, მომდევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯია კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ღონისძიებებისა და პროდუქტიულობის ხელშეწყობი პოლიტიკების მხარდასაჭერად საჭირო ფისკალური დანაკლისის იდენტიფიცირება და გაზომვა, რაც საბიუჯეტო დაფინანსებას მოითხოვს, მაგალითად, განათლების სფეროში. ეს პოლიტიკები შემდგომ უნდა შეფასდეს კლიმატის ცვლილების ჭრილში ეკონომიკურ მოქნილობასთან მიმართებით მიღწეული, გრძელვადიანი პროგრესის თვალსაზრისით.

დანართები

დანართი 1 სახელმწიფო სანარმოები

	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	PC/GG	დარგი	ბრუნვა 2022 (ათასი ლარი)
1	სს ელმავალმშენებელი	12,76	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	502
2	შპს ვარდების რევოლუციის პარკი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	90
3	სს რემშენი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	17
4	შპს საქექსპერტიზა	100	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	159
5	შპს ქ. თბილისის N3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	215
6	სს მშენებელი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
7	სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი	91,53	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	551
8	შპს ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	61
9	შპს რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	99
10	შპს მოზრდილთა და ბავშვთა პათოლოგიის პათოლოგანატომიური სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
11	შპს ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	2 174
12	სს საქართველოს რკინიგზა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	559 874

13	შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	236 836
14	სს ნ. მახვილამის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
15	შპს სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	19
16	შპს ჰერმესი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	4 478
17	შპს ქართული ბაზარი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
18	შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5 420
19	შპს საქართველოს ფოსტა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	75 448
20	შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1 720
21	სს საქპრესა	15	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
22	შპს ალპური კლუბი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	0
23	სს საქართველოს ტუნგო და ეთერზეთი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
24	შპს გაზეთი გურჯისტანი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
25	სს კახეთის ენერგოდისტრიბუცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
26	შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მშენებლობა	3 780

27	შპს საქართველოს მელიორაცია	100	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	8 075
28	შპს სერვისი - 7	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	3 549
29	შპს სამეფო უბნის თეატრი	49	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	259
30	შპს საქართველოს ლატარიის კომპანია	70	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
31	შპს გაზეთი ვრასტანი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
32	შპს წყნეთის საექიმო ამბულატორია	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	38
33	სს ენერჯოტექნოპროექტი	25	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	7
34	შპს სპორტმშენსერვისი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	5 457
35	სს საქტრანსგაზმრეწვი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
36	შპს ჯი სი სი აი სერვისი	100	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	170
37	შპს ლოგოსი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
38	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	361 476
39	შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1 007
40	შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	173

41	სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	689 854
42	შპს აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
43	შპს EXPRESS	70	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	258
44	შპს თბილისის №4 საოჯახო მედიცინის ცენტრი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	505
45	შპს რეაბილიტაცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	168
46	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	145 329
47	შპს თბილავიამშენი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	14
48	შპს საქველმოქმედო	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
49	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	947 576
50	შპს თბილერვის ჯგუფი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	141 977
51	შპს სამედიცინო ცენტრი დიომედი	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	260
52	შპს სამედიცინო ამბულატორია ფონიჭალა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	22
53	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	100	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	13 750
54	შპს საქველმოქმედო	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი	159 049

					მოხმარების საგნების რემონტი	
